1886 წელი

ირლანდია და ინგლისი

I

ამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარმა ორი დიდი საქმე წამოაყენა ფეხზედ. ერთიც და მეორეც იმისთანანი არიან, რომ ევროპის პოლიტიკურს და ეკონომიურ წყობას ძველს საძირკველს ურყევენ და საჭიროდ ჰხდიან ძველის სანაცვლოდ ახალის ჩადგმას. მიზეზნი ამა ორის დიდის საქმისანი ძველად-ძველნი არიან, დიდი ხანია მოქმედობდნენ და ევროპის წინ-მსვლელობას თავის ბეჭედს ზედ აჭდევდნენ, მაგრამ ამ მეორე ნახევარმა ჩვენის საუკუნისამ ეს არ იკმარა. იგი ორი საქმე დღეს იმოდენად მოიწია, იმოდენად მომწიფდა, იმოდენად საყურადღებოდ წამოდგა, რომ გადაჭრილს, გადაწყვეტილს სიტყვას თხოულობს და არა მიკერ-მოკერებასა, არა ტყუილ-უბრალოდ აბლანდვასა, გულის მოსაფხანად, როგორც აქამომდე იყო.

1852 წლის შემდეგ ნაპოლეონ III-ის თაოსნობით პოლიტიკაში წამოიწია ეგრეთწოდებულმა ეროვნობამ «ნაციონალობამ», გვარტომობამ ერისამ. ეს ნაციონალობა ზოგან ძლევით შეიმოსა: იტალიაში იტალია გააერთა, გერმანიაში — გერმანია და ამ სახით დაქსაქსულ ერს ერთის გვარტომისას ერთად მოუყარა თავი თავთავის ადგილს. ეს იტალიისა და გერმანიისათვის უფრო ადვილი იყო, რადგანაც ამათში ან სულ არ ურევიან სხვა ტომის ხალხნი, ან თუ ურევიან — იმოდენად ცოტანი არიან, რომ გაერთების საქმეს წინ ვერ გადაეღობებოდნენ. სულ სხვა ამბავი დაემართა ავსტრიას, საცა ნემენცებიც არიან, ვენგრებიც და სლავიანებიც, რომელნიც ცალ-ცალკე იმოდენად ღონიერნი არიან, რომ ერთიმეორეს ადვილად წინ ვერ წაუვა, ადვილად არ უთმობს უპირატესობას ეროვნობისას.

ვიდრე ავსტრია გერმანიაში მბრძანებლობდა და პრუსია, ყოველთვის შურით მაყურებელი ამისა, უღონო იყო ეგ მბრძანებლობა ჩამოერთმია თავის დაუძინებელ სურვილისამებრ, ავსტრიაში ჰბატონობდნენ მარტო ნემეცები და უპირატესობა ეროვნობისა ხელთ ეპყრათ. სხვათა დანარჩენთა შორის — ვენგრია, როგორც უფრო გამოღვიძებული, საპოლიტიკო მოქმედებისათვის უფრო მომწიფებული — ვიდრე სლავიანები, ცდილობდა თავის ეროვნობის უპირატესობისა და დაცვისათვის, სცდილობდა არ დაჩაგრულიყო ნემეცთა ბატონობისაგან. ძლიერი კულტურა ნემენცებისა, რიცხვით სიმრავლე მათი, მათი პოლიტიკური მბრძანებლობა სახელმწიფოში სახუმარი საქმე არ იყო ვენგერებისათვის. ყოველი ეს დიდს შიშს, დიდს შიშის ზარს უქადიდა ვენგერთა ეროვნობას. უშველა ღმერთმა ვენგერებს და ავსტრია ბისმარკის ძლიერმა ხელმა გამოაძია გერმანიიდამ. ავსტრიის სვე-ბედის ჭკვიანთა გამგეთ მაშინვე იგრძნეს, რომ ღონის სასწორის უღელი ვენგერებისაკენ გადიხარა და ვენგერებს მიანიჭეს სახელმწიფოში ყოველივე ის უფლება, რომელზედაც გულუშიშრად შესაძლოა დაენდოს ვენგრია.

მინამ ეს ასე მოხდებოდა, ავსტრიის სლავიანებმაც გააღვიძეს თავისი ისტორია, მოიგონეს დიდებულნი დრონი წარსულისა; ამ ნიადაგზედ ამოაყვავეს თავისი სლავიანობა... და აი დღეს ჩეხების წინამძღვრობით ავსტრიის სლავიანები ეპირისპირებიან ნემენცებს და ვენგერებს და

ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოში თავისის ეროვნობისათვის თანასწორ ადგილს მთავრობისაგან თხოულობენ. ავსტრიამ არც აქ მოიყრუვა ყური. ცხადი ნიშნებია, რომ ავსტრიის საპოლიტიკო კაცნი სრულებითაც არ ჰთაკილობენ და არ უფრთხიან ამგვარს მოძრაობას სლავიანებისას... რადგანაც სლავიანებს ერთი თვალი რუსეთისკენ უჭირავს... პირიქით, თითქო თანაუგრძნობენ კიდეც, რადგანაც თვალწინ ცხადი მაგალითი აქვთ — ვენგრია, რომელსაც თუმცა სრული უფლება ეროვნებისა და თვითმართველობისა მიანიჭეს, ამით სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას არამცთუ დააკლდა რამე, უფრო მოემატა... იქნება შორს არ არის ის დრო, როცა ავსტრო-ვენგრია, ეხლა ორგვამოვანი, სამგვამოვანად გადაიქცეს და ავსტრო-ვენგრეთ-სლავიანთა სახელმწიფოდ შეიქმნას.

იმავ მოძღვრებას მისდევს დიდი გლადსტონიცა ირლანდიის შესახებ, რაც ავსტრიამ უკვე განახორციელა ვენგერების კონსტიტუციით და მით დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვადასხვა გვარტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარტომობამ შეჰხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ — ინტერესები გვარტომობისა. თუ გლადსტონმა თვისი პროექტი გაიყვანა პარლამენტში და ინგლისი დაიყოლია, ეგ მეორე მაგალითი იქნება მისი, რაც ავსტრო-ვენგრიამ უკვე დაანახვა ქვეყანას... ამბობენ, გლადსტონი შოტლანდიის შესახებაც ამასვე ჰფიქრობს. თუ ამ ხნით ძლიერ დაბერებულმა, გულით და მხნეობით-კი ჭაბუკზედ უფრო ჭაბუკმა მოხუცმა თავისი გაიყვანა, განცვიფრებულს ევროპას და ისტორიას ძველის მოყვარე ინგლისი წარმოუდგენს ერთს იმისთანა დიდ საქმეთაგანს, რომელიც კაცობრიობას თავის-დღეში მუქთად არა ჰრგებია...

აი იგი საქმე, რომელიც პოლიტიკურს წყობას ევროპისას შეეხება. ხოლო ეკონომიურს წყობაზედ მერე მოვილაპარაკებთ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო.

II

ეკონომიურის წყობის შესახებ საქმე დღეს პირისპირ წარმომდგარია მარტო ინგლისში ირლანდიის გამო. ეგ საქმე მიწათმფლობელობის საქმეა. ირლანდია ამ მხრით დიდს იარას წარმოადგენს ინგლისის სახელმწიფო ტანზედ და გლადსტონის სამინისტროს სამერმისო სახელი და დიდება ამ იარის მორჩენაზედ არის დამოკიდებული. მთელი ევროპა განცვიფრებით შეჰყურებს ეხლა ინგლისს და დიდის სურვილით ელოდება თუ, — გლადსტონი როგორ უწამლებს ამ მწვავეს, მრავალკეცს და ღრმაფესვიან იარას და როგორ გადაარჩენს ინგლისს საშინელ განსაცდელისაგან, რომელსაც უკეთესნი კაცნი ინგლისისანი წინასწარვე ხედვენ, თუ ეს იარა მოურჩენელი დარჩა. რომ ამ იარის ვითარება, მიზეზი და თვისება როგორმე შევიტყოთ, საჭიროა მოკლედ გამოვარკვიოთ — საიდამ წარმოდგა იგი და დღეს რა ხარისხამდე მიაღწია? ეს მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ჯერ, პირველად, დღევანდელ ყოფას ინგლისისას აგვიხსნის, და მეორედ — ბევრ საყურადღებო საგანს, მთელის კაცობრიობის შესახებს, ცოტად თუ ბევრად გვანიშნებს. ჩვენც კაცნი ვართ და — ძველის ფილოსოფოსისა არ იყოს — არა-რა კაცობრივი არ უნდა გვეუცხოვებოდეს.

ვიდრე ჩვენს მოთხრობას პირდაპირ ირლანდიიდამ დავიწყებდეთ, ჩვენ საჭიროდ ვხედავთ მოკლედ გავიხსენოთ ისტორია მიწათმფლობელობისა თვით ინგლისისა, იმიტომ რომ აქედამ შესეულმა მართლიერებამ მიწათმფლობელობისამ დიდი ზედმოქმედება იქონია ირლანდიის მიწათმფლობელობის განწყობილებაზედ.

ვიდრე ნორმანები შეესეოდნენ ინგლისს და დაიპყრობდნენ, მკვიდრნი მცხოვრებნი ინგლისისანი ორგვარს წყობას წარმოადგენდნენ: ერთი აზატი, რომელიც მიწასა ჰფლობდა, და მეორე მონა, რომელიც მიწათმფლობელს ემსახურებოდა და საქმეს უკეთებდა. როცა ნორმანებმა დაიპყრეს ინგლისი, გამარჯვებულთა, ჩვეულებისამებრ, მიწებიც დაიყვეს და დაიჭირეს. 1086 წელს გამოცემული საერთო სამამულე სიგელი (Domes-day book) ამტკიცებს, რომ მეთერთმეტე საუკუნეში, ნორმანების შემოსევის უმალვე, შეიცვალა წინანდელი სახე მიწათმფლობელობისა ინგლისსა და ვალისში.

ზემოხსენებულ სამამულე სიგელიდამ ჰსჩანს, რომ მეთერთმეტე საუკუნეში მიწათმფლობელობა ინგლისში წარმოადგენდა შემდეგს სურათს: 60.215 ეგრეთწოდებული საბატონო მამული ყოფილა დაარსებული კოროლის მიერ. აქედამ ეკლესიას და სამღვდელოებას ჰბოძებია კოროლისაგან 28.115 მამული და დანარჩენი 32.100 რაინდებსა, იმ პირობით, რომ ამ წყალობის სამაგიეროდ კოროლს სამსახური გაუწიონ და სამხედრო ბეგარა იხადონ. ამ მებატონეებს ლორდებს ეძახდნენ. წინანდელ მკვიდრთათვის, სახელდობრ, ინგლის-საქსონებისა და ბრიტტებისათვის, კოროლს დაუტოვებია მათი მამულები, ხოლო დაუმორჩილებია იმ მებატონეთათვის, რომლის სათემოშიაც მოჰყოლიან. ამათი რიცხვი ბევრი არა ყოფილა. აზატნი მემამულენი (socmen) სულ 23.000 ყოფილა და მეღალე და ვალდებული (villani) 102.702. წინანდელ მკვიდრთა შორის ყოფილან ისეთნიც, რომელთაც, ჩვენებურ ხიზნებსავით, სხვა მებატონის მამულზედ ჰქონიათ ბინაც და სახმარი მიწაც (bordarii, cotarii); გარდა ამისა ყოფილან მონანიც (servi), რომელთაც მებატონეთაგან ჰქონიათ მიწები მიცემული საკეთებლად.

ამ მოკლედ აღნუსხულს ცნობებს რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ ორგვარს საფუძველს მიწათმფლობელობისას, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია და დააჭდია მთელს მიმართულებას მიწათმფლობელობისას ინგლისში. ერთ მხრივ ვხედავთ სხვილთა მებატონეთა, რომელთაც პირდაპირ კოროლს უნდა უხადონ ხარკი და გაუწიონ სამხედრო სამსახური მთელის თავის თემის მაგიერ; მეორეს მხრით — წვრილთა მემამულეთა და მიწათმომქმედთა, რომელთაც მაგგვარივე სამსახური და ხარკი უნდა გაუწიონ სხვილ მებატონეებს და კოროლის წინაშე კი არავითარის სამსახურის გამწევნი არ არიან. მეცნიერნი ამბობენ, რომ ამგვარი წყობა ყველგან ყოფილა ევროპაში და პირველი მაგალითი ინგლისი არ არისო. ხოლო განსხვავება იმაშიაო, რომ ინგლისის მებატონეებმა და სახელმწიფომ ერთიერთმანეთს არ უმტყუვნეს, პირველყოფილი პირობა მტკიცედ შეინახეს დღევანდლამდინა: სახელმწიფო ხარკი და გარდასახადი სახელმწიფოსი უმაღლესმა წოდებამ ინგლისისამ კისრად იდო და დღესაც ასრულებსო. დღესაც ინგლისის უმაღლესი წოდება მიწათმფლობელობის სახელმწიფო ხარკსა და სამსახურს თვით იხდის განუზიარებლად, და არამცთუ ჰთაკილობს იმას, არამედ თავმოწონებითაც ემორჩილება და უძღვება. სხვა ქვეყნებში გაძლიერებულმა მიწათმფლობელთა წოდებამ ეს საერთო სიმძიმე სახელმწიფო სამსახურისა თავის მხრებიდამ ჩამოიხსნა და არამცთუ ხარჯიდამ განთავისუფლდა, თვით სამხედრო სამსახურის ბეგარაც კი თავიდამ აიცდინა.

რადგანაც მიწათმფლობელობის გამო მთელის ერის ხარკს და ბეგარას სხვილნი მებატონენი იხდიდნენ კოროლის წინაშე, ეს ხელზედ დაიხვიეს მებატონეებმა და სთქვეს, რაკი სახელმწიფოს გამძღოლნი მარტო ჩვენა ვართ, მიწაც სრულ ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო. რადგანაც დანარჩენი მკვიდრნი ისეთივე მოსამსახურენი იყვნენ სხვილ მებატონეებისა, როგორც თვით მებატონენი კოროლისა, ინგლისის დიდნი მებატონენი არამცთუ შეეცილნენ დანარჩენს ერს მოქალაქობრივსა და პოლიტიკურს უფლებასა, როგორც სხვაგან, არამედ ხელი შეუწყეს მოქალაქობრივს და პოლიტიკურს თანასწორობას და ამგვარებში არავითარი უპირატესობა არ დაიჩემეს.

ამ სახით, მთელს ინგლისის ისტორიაში ორს დიდს მდინარეობასა ვხედავთ: ერთის მხრით წოდებათა ლიბერალურს პოლიტიკას მოქალაქობრივ თანასწორობის დაცვისას საყოველთაოდ, და მეორეს მხრით — მეტად ანგარს და ხარბს პოლიტიკას მიწათმფლობელობის საკუთრივ ხელში ჩაგდებისას. პირველმა ის სამსახური გაუწია მეორეს, რომ ინგლისის ლორდებმა მშვიდობიანად და ტკბილად, ცოტ-ცოტაობით და ნელ-ნელა გამოაცალეს ხელიდამ მთელს ერს ინგლისისას მამულები. საკვირველი ეს არის, რომ თვითონ ერმა ხელიც არ გაანძრივა ამის საპირისპიროდ... უსათუოდ იმიტომ, რომ ჯერ ის საბუთი ცოტად თუ ბევრად უგრილებდა გულს, რომ ლორდები მთელის ერის ხარკს და ბეგარას იხდიდნენ სახელმწიფოს წინაშე, მერმე იგი, რომ იმავე ლორდის სარჩლით და მეოხებით უბრალო მდაბიო გლეხიც იმისთანა მოქალაქე და მამულისშვილი იყო კანონის წინაშე, როგორც პირველი ლორდი. უკანასკნელს პირველთან ამ მხრით არავითარი უპირატესობა არ მიუძღვოდა.

„ამ თანდათანებრივმა დაჩემებამ მამულისამ მაღალ წოდების მიერ, — ამბობს ერთი მეცნიერი, — ამ ხელში ჩაგდებამ მთელის ერის სიმდიდრისამ, მთელის ინგლისის ადგილ-მამულისამ, ისა ჰქმნა, რომ წვრილნი აზატნი მემამულენი და მესაკუთრენი ჯერ ვალდებულ გლეხებად გარდააქცია, ვალდებულნი გლეხნი მეიჯარადრეებად, მეღალეებად, და მეღალენი დღიურ მუშებად, პროლეტარიადაო“.

საყურადღებოა ციფრები მისი თუ, როგორ კლებულობდა წვრილთა მესაკუთრეთა რიცხვი დროთა განმავლობაში. XI საუკუნეში სულ 300.000 — ასეთნი თუ ისეთნი მიწათმფლობელნი ყოფილან, სულ ერთი მილიონი სული, ესე იგი ნახევარი მცხოვრებთა რიცხვი მაშინდელის ინგლისისა და ვალისისა. 1660 წელს 160.000-ღა დარჩენილა, 1816 წელს 16.000, 1831 წელს 7.200, მეცხრამეტე საუკუნეში სულ გაჰქრნენ ამისთანა წვრილნი მესაკუთრენი და მიწათმფლობელნი და დღეს მთელის ინგლისის მამულები[1], რომელნიც ვალისთან ერთად შეადგენს 37.324.015 აკრსა[2], მარტო 30.766 კაცის ხელშია, საეკლესიო და სამღვდელოთა მამულების გარდა, მაშინ როდესაც რიცხვი დანარჩენთა მკვიდრთა ოცს მილიონზედ მეტია, შოტლანდიის და ირლანდიის გარდა. ამ ოცს მილიონში ათს მილიონზედ ცოტა მეტი ქალაქებში არიან მცხოვრებნი და დანარჩენი სოფლად. ამ სახით დღეს ინგლის-ვალისში ორგვარნი მკვიდრნი არიან

---

[1] გამოჩენილ მეცნიერის მაკს ვირტის სიტყვით ინგლის-ვალისში ყოფილა: 1861 წელს:მცხოვრებელი — 20.066.224, 1871 წელს: 22.712.266, მათ შორის: მამულის მესაკუთრენი — 30.766, მიწათმომქმედნი და სოფლის მუშანი — 1.098.261 22.964 922.054

[2] აკრი — 800 ჩორსო საჟენია, ჩვენებურის დღიურის ორი მესამედი.

მიწათმფლობელობის კვალობაზედ: ერთის მხრით 30.766 კაცია მესაკუთრენი ადგილ-მამულისა და მეორეს მხრით სრულად უმამულონი თითქმის ათ მილიონამდე სული, რომელნიც ან იჯარადრობით, ფერმერობით, რჩებიან და იკვებებიან, ან უბინაოდ დადიან დღიურ მუშად და მოჯამაგირეებად.

საყურადღებო და განსაცვიფრებელი ის არის, რომ დღესაც მიწათმფლობელნი საერო მებატონენი რიცხვით თითქმის იმდენნი არიან, რაც მეთერთმეტე საუკუნეში იყვნენ. 1086 წლის სამამულო სიგელის მიხედვით საერო მებატონენი მაშინ ყოფილან 32.100 და ეხლაც, რვა საუკუნის მერმედ, თითქმის იგივე რიცხვია 30.766. რამ მოახდინა ეს საოცარი ამბავი — ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

III

ნორმანებმა რომ დაიპყრეს ინგლისი, მთელი ადგილ-მამული ამ ქვეყნისა აღიარებულ იქმნა საკუთარ კუთვნილებად ნორმანთა წინამძღვრისა, კოროლისა. კოროლმა, როგორც უკვე მეორე წერილიდამ ვიცით, 32.100 თავის რაინდა დაურიგა მთელი მიწები ინგლისისა, მათ გარდა, რომელიც ეკლესიას და სამღვდელოებას არგუნა, და ამისათვის ხარკი და სამხედრო ბეგარა დაადო. ამ რაინდთა გარდა, 23.000 წინანდელ მკვიდრთა ინგლის-საქსონთა და ბრიტთა შთამომავლობისას დაუტოვა მათი მამული, და დანარჩენნი დასტოვა მფლობელად მამულებისა იმ პირობით, რომ მამულების გამო იმისთანა სამსახურივე უნდა გაეწიათ ლორდებისათვის, როგორც ლორდები კოროლისათვის ეწეოდნენ. კარლ მე-II-ემ 1676 წელს 32.100 ლორდსა და 23.000 წვრილ მესაკუთრეს თავისის სტატუტით დაუმტკიცა განსაკუთრებულ კუთვნილებად ერთხელ კოროლისაგან ბოძებული მამულები. ამ დღიდამ მიწათმფლობელობა ლორდებისა და წვრილთა მესაკუთრეთა ხელში უფრო გამტკიცდა და გამაგრდა. სხვა ყველაფერში, ესე იგი, კანონისა, სამართლისა და სახელმწიფოს წინაშე, ყოველი კაცი თავისუფლად დარჩა, თანასწორის უფლებისა იყო. იმ 23.000 წვრილთა მესაკუთრეთაგან შესდგა ის ერთი წყობა მიწათმფლობელისა, რომელსაც „ჯენტრი“ ეწოდა და რომელიც შეიქმნა ერის წარმომადგენელად ქვედა პალატაში, და ლორდებმა კი, ესე იგი სხვილთა მებატონეთა, ზედა პალატა ჩაიგდეს ხელში მემკვიდრეობით და არა არჩევანითა.

ამ სახით, მიწათმფლობელობა ინგლის-ვალისისა არც „ფეოდი“ იყო, არც „ალლოდი“, როგორც სხვაგან. ფეოდი ამიტომ არა, რომ არავითარი პირადი უფლება არა ჰქონდა ინგლისის ლორდს მის მამულზედ დასახლებულს კაცზედა, ეგრეთწოდებული „პატრიმონიალური სამართალი და გამგეობა“ ინგლისის ლორდმა არ დაიჩემა. ალლოდი კიდევ იმიტომ, რომ ადგილ-მამულები, რომელიც ლორდებს ჯერ ეჭირათ კოროლისაგან, და მერე დაიმტკიცეს კიდეც საკუთარ კუთვნილებად, თავისუფალნი არ იყვნენ ხარკისა და სამსახურისაგან და არც ცდილობდნენ განეთავისუფლებიათ. ამ სახის მფლობელობამ, რომელიც ალლოდსაც ცოტა წააგავდა და ფეოდსაც, მთლად კი არც ერთი იყო, არც მეორე, ისა ჰქმნა, რომ მიწათმფლობელობა წოდებათა განსაკუთრებულ უფლებად არ გადაიქცა. ინგლისში თავიდამვე დღევანდლამდე ყველას უფლება აქვს იქონიოს მამული, თვით პირველის ლორდის მამულიც იყიდოს, მამული დაუბრკოლებლად თავად თუ აზნაურისაგან სხვადასხვა ხელში, თუნდა გლეხისაშიაც, ასე თუ

ისე გადავიდეს. ეგრეთწოდებული „ფიდეიკომისი, მაიორატობა“[3], ინგლისის კანონისაგან თავის-დღეში აღიარებული არ ყოფილა, ინგლისის კანონმდებლობაში დღესაც ადგილი არა აქვს. ეს იქნება ბევრს ვისმე ეოცოს, მაგრამ ესე კია. საქმით კი მაიორატობა არის და ყოფილა კიდეც, თუმცა მემკვიდრეებისათვის არც უწინ და არც დღეს სავალდებულო არ არის კანონის მხრით. მაიორატობა ინგლისში მარტო ჩვეულების ძალით არსებობს. ჩვეულება კიდევ იქიდამ წარმოსდგა, რომ ინგლისის ლორდები არასფერში აე შეეცილნენ ერს, ყოველივე საპოლიტიკო და მოქალაქობრივი უფლება განუზიარეს, ამ მხრით არასფერი უპირატესობა არ დაიჩემეს მარტო იმისათვის, რომ მიწათმფლობელობაში მოცილე არავინა ჰყოლოდათ. აქაც ძალმომრეობას მოერიდნენ, არ იკადრეს და მამულების დაჩემება მშვიდობიანად მოახერხეს. რაზედ დააფუძნეს ეს ხერხი? მხოლოდ სიმდიდრეზედ, ქონებაზედ. მიწათმფლობელობის სიმდიდრისა და ქონების მტერი გაყრა-გამოყრაა მემკვიდრეებისა, მამულების დანაწილებაა, დანამცეცებაა. აი სად არის სათავე, რომ ლორდის სახლობაში მაიორატობა ჩამოვარდა და სახლისკაცთაც ეს იკისრეს და არ ეურჩნენ, რადგანაც ინგლისში მიწათმფლობელობა დიდკაცობის ხელში თავის მოყრისათვის პირველ დღიდგანვე მიიზიდებოდა. რადგანაც სიმდიდრე და დიდი მამულები შერჩათ, ლორდებმა წვრილნი მეპატრონენი ფულით დაახარბეს, დიდძალი ფული აძლიეს და ნელ-ნელა ნებაყოფლობით შეისყიდეს მათი მამულები ასე, რომ 1831 წელს მაგისთანა მეპატრონეთაგან სულ 7.200 სახლიღა დარჩა. ეს ერთი მიზეზი, რამაც შეამცირა და თითქმის ბოლო მოუღო წვრილთა მეპატრონეთა და მათი მამულები ლორდების ხელში ჩააგდო. დანარჩენი ასეთი თუ ისეთი მიწათმფლობელნი, რომელთაც ლორდებისათვის სამსახური უნდა გაეწიათ, უწინდელ წესიდამ ჯერ გრძელ ვადის იჯარადრობაზედ გადაიყვანეს, მერე მოკლე ვადისაზედ, ბოლოს მამულის მიცემა ლორდის ნებაყოფლობაზედღა ჩამოვიდა. აქაც, რასაკვირველია, ლორდებს ფულმა დიდი სამსახური გაუწია. ბოლოს ხომ ფერმერობაზედ შედგა საქმე და დღესაც ასეა. მე-XVIII საუკუნეში მაინც კიდევ 7.800.000 აკრი თავისუფალი სათემო მიწა იყო. მაგრამ ეს მამულებიც ლორდებმა ჩაიგდეს ხელში და სამართლის წინაშე საბუთად იხმარეს რაღაც ბუნდი სიტყვები კარლ II-ის 1676 წლის სტატუტისა. სათემოდ-მფლობელთა მკვიდრთა ვერ გაუძლეს უშველებელს ხარჯს სამართლისას, მაშინ როდესაც ლორდები არც ადვოკატებზედ ჰზოგავდნენ რასმე და არც სამართლის აუარებელს ხარჯს მოერიდნენ, რომ ზემოხსენებულ სტატუტის ბუნდი სიტყვები თავიანთ სასარგებლოდ აეხსნათ კანონის წინაშე. ამ სახით ეს მიწებიც, რომელიც „ვერანა“ მიწებად იცნეს, ლორდებმა მიაწებეს თავიანთ საკუთრებას თუ სულ არა, ბევრად გადამეტებული ნაწილი მაინც. ამ მოკლედ ჩამოთვლილ მიზეზებისა გამო იმ წინანდელმა რიცხვმა რაინდებისამ, რომელთაც XI საუკუნეში კოროლისაგან ებოძათ მამული, არც იმატა და თითქმის არც იკლო, დღეს თითქმის იგივე დარჩა, სახელდობრ 30.766 სახლი; მამულები სულ შემოიკრიბა და თავის ხელში დაინარჩუნა და თავის ახლო წვრილნი მეპატრონენი და სხვა მფლობელნი მიწისა არ ახეირა. დღეს ამ შთამომავლობას რაინდებისას ეკუთვნის თითქმის მთელი ინგლის-ვალისი, საცა 32 მილიონზე მეტი დღიურია და 20 მილიონზედ მეტი მცხოვრები[4].

---

[3] აქ მარტო საკუთრივ ინგლისი და ვალისია სახეში მიღებული.

[4] აკრი ორი მესამედია ჩვენის დღიურისა, ესე იგი, 800 ჩორსო საჟენია.

ამ წყობილებამ ადგილ-მამულისამ ისე მაგრად მოიკიდა ფეხი, რომ სახელმწიფოსაც კი შეეცილა, შენ უფლება არა გაქვს საადგილ-მამულო საქმეში გაერიოო, ადგილ-მამული ხელშეუხებელი კუთვნილებაა პატრონისაო. პირველი მაგალითი მისი, რომ სახელმწიფომ ეს ზვიადი აზრი შეარყია, 1845 წელს მოხდა, როცა ეგრეთწოდებული „Inclosure Act"-ი გამოსცა პარლამენტმა, მერე გრეიმ თავის მინისტრობის დროს და რობერტ პილმა კარგა ფხა მოაკვეთა ამ ზვიად აზრს, ბოლოს ხომ გლადსტონმა თავის „Irish Land Bill"-ით სრულად შეარყია ეს აზრი, და იმისთანა გამოჩენილთა მეცნიერთა, როგორც სტუარტ მილმა და სახელმწიფო კაცმა ბრაიტმა, მხარი მისცეს გლადსტონის დედააზრსა. აი გლადსტონმა რა სთქვა ერთხელ პარლამენტში მამულების იჯარით გაცემის თაობაზედ: „არა ქვეყანაში, რომელიც კი ჯანმრთელია და წესიერი საზოგადოებრივი წყობა აქვს, შესაძლო არ არის განუსაზღვრელი თავისუფლება მიეცეთ კერძო კაცთა, რა პირობითაც უნდათ ერთიერთმანეთს იმ პირობით შეეკვრნენო. ინგლისის კანონებში ბევრი მაგალითია, რომ კერძო ხელშეკრულობათა გამო სახელმწიფო ჩარეულიყოს საქმეშიო". გლადსტონს ამითი იმის თქმა უნდოდა, რომ ადგილ-მამული იჯარით გასაცემად უნდა ემორჩილებოდეს რაიმე კანონსაო და არ უნდა იყვესო ან ერთის მძლავრობაზედ, ან მეორის უილაჯობაზედ დამოკიდებულიო. ეს აზრი მეტად ფეხმძიმედ ტრიალებს ინგლისში და გასაკვირველიც არ არის. მთელი ლორდობა განგებ, და ამათზე დამოკიდებული ფერმერობა ძალაუნებურად, ქვეშ უდგია საკუთრების ხელშეუხებლობას, და უფრო მეტი ძალა კანონმდებლობისა ამ ორ წოდებათა ხელშია, რადგანაც ლორდები ქვედა პალატაში თავიანთ კაცებს არჩევინებენ ლორდების მამულებზედ დასახლებულ ფერმერებსა.

IV

მეორე ნაწილი ეხლანდელის ინგლისისა — შოტლანდიაა. შოტლანდიაში, საცა 20 მილიონზედ მეტი აკრი მიწაა და სამს მილიონზედ მეტი მცხოვრები, ყველაზედ მდიდარი მამულის მეპატრონენი არიან მთელს დედამიწის ზურგზედ. აქ ამოდენა მამულზედ სულ 7.273 კომლია მამულის პატრონი. მათ შორის არიან იმისთანანი, რომელთაც ერთ მილიონ ნახევარი აკრი მამული აქვთ, მაგალითებრ, გრაფი სოტერლანდი. 26 კაცს ეკუთვნის ერთი მესამედი მთელის ადგილ-მამულისა. ამ ოცდაექვსს კაცში თითქმის ერთი არ არის, რომ ნახევარ მილიონ ფრანკზედ ნაკლები შემოსავალი ჰქონდეს წელიწადში. ამათში მილიონ ნახევრიდამ ორ მილიონ ფრანკამდე თოთხმეტს კაცს აქვს შემოსავალი წელიწადში, ერთს, ჰერცოგ ჰამილტონს 2.851.825 ფრანკი აქვს, ჰერცოგ ბოკლეის 4.603.500 ფრანკი შემოსდის ყოველწლივ.

აქ, შოტლანდიაში, იმავე მიზეზებმა იმოქმედეს, რაც ინგლის-ვალისში, და ადგილ-მამული 7.273 ხელში მოჰკრიბეს. იმ მიზეზებს ორი სხვა მიზეზიც დაემატა აქ. კოროლები, შოტლანდიის მებატონეთა ერთგულების გამო, აქ უფრო მწყალობელის თვალით უყურებდნენ დიდთა მებატონეთაგან მამულების დაჩემებას, ვიდრე ინგლისში. ინგლის-ვალისის მებატონეთა ცდამ,

რომ მაიორატობა[5] კანონით აღიარებულ იყოს, როგორც ვნახეთ უქმად და ამაოდ ჩაიარა ინგლისში და მარტო ჩვეულების ძალითღა დაიწყო სუფევა. აქ, შოტლანდიაში კი, მთავრობამ ამაში მიწათმფლობელთ ხელი შეუწყო და მე-XVII საუკუნეში მაიორატობა გააკანონა; გარდა ამისა, იმისათვის რომ საშვილიშვილოდ დაუმტკიცდეთ საქმითაც დიდკაცობას მამულები, ერთი ღონე იყო შემოღებული, რომელიც ინგლისში „clearing of estates"-ად არის ცნობილი. ქართულად ეს სიტყვები დაახლოებით ასე ითარგმნება: „განწმენდა მამულებისა". ეს „განწმენდა მამულებისა" იმაში მდგომარეობდა, რომ უწინ საკომლოდ მიცემული მამულები მიწათმომქმედებისათვის, რომელიც მერე საჯარო მამულებად გადაიქცა, გლეხკაცობას ჩამოერთვა, საბატონო მამულებს მიეწება და ამ სახით მებატონეთა სრულს განკარგულებაში ჩაცვივდა. ინგლისშიაც იყო ამისთანა ამბავი, მაგრამ იქ 1448 წლის სტატუსით მთავრობამ ამ უწყალო საქმეს საზღვარი დაუდვა. შოტლანდიაში კი, საცა დიდკაცობა უფრო ძლიერი იყო და თავის ერთგულებისათვის უფრო წყალობილი კოროლის მიერ, ეგ საქმე დაუბრკოლებლად მიდიოდა და წარსულს საუკუნეში ისეთის გამარჯვებით დაგვირგვინდა, რომ დიდკაცობამ ხელთ იგდო მთელი მამულები, გლეხთა მიერ ნაჭერი, და გლეხკაცობა მამულებიდამ აჰყარა. ამ აყრილ გლეხთაგან, ვისაც ღონე და შეძლება ჰქონდა, ამერიკაში გადავიდა, და ვისაც არა, უალაგო-ალაგას ზღვის პირას კლდეებზედ ქოხები გაიკეთეს და თევზის ჭერით თავს ირჩენდნენ, ან არა-და ფაბრიკის და დღიურ მუშებად ჩაეწერნენ. ჩრდილოეთი შოტლანდია მეტად მთიანი ქვეყანაა, აქ ხვნა და თესვა ბევრს არას იძლევა, და ამიტომაც „განწმენდილ მემამულეთა" აქ უფრო პირუტყვის მოშენება ირჩიეს. პირუტყვთ-მოშენებას ფართო ადგილები უნდა და ამის გამო აქ, ჩრდილოეთ შოტლანდიაში, შიგადაშიგ ჩაჩხირებული სოფლები გლეხკაცობისა უფრო უშლიდა დიდთა მებატონეთა, ვიდრე სხვაგან. ამ „მამულების განწმენდის" წესმა აქ უფრო ძლიერ და სასტიკად იმოქმედა, ნამეტნავად წარსულ საუკუნეში. გაუქმდა მოსახლეობა გლეხობისა, მთელი სოფლები აიყარა და სოფლების ნაოხარზედ წმინდა ბეწვიანი ცხვარიღა დადიოდა. 1792 წლის არეულობამ, რომლის მსხვერპლად შეიქმნა რამდენიმე ასი ათასი უბოროტო და უდანაშაულო ცხვარი, არაფერი უშველა გლეხობასა. ჯერ მარტო სოტერლანდის მამულიდამ 1829 წლამდე 15.000 სული გლეხობა აჰყარეს და ადამიანის საცხოვრებლის მაგიერ პირუტყვთა საძოვრად გადიქცა ამოდენა ხალხის ნაჭერი მამულები. ამ სახით, ჩრდილოეთ შოტლანდიაში სხვილი მებატონობა ჩამოვარდა სხვილ-სხვილ ფერმებითა. მაგალითებრ, სოტერლანდის მამულში, რომელიც 1½ მილიონი აკრია, სულ 29 ფერმაა, ერთი ფერმა მეორეზედ 60 ვერსტის მანძილზეა, და ამოდენა მანძილზედ ფერმის გარშემო სულ ტიტველა საძოვარი მინდვრებია თავიდამ ბოლომდე. სამხრეთს შოტლანდიაში უფრო შუათანა მებატონობა დარჩა და ფერმები წვრილ-წვრილნი არიან, იჯარით გაცემულნი. აქ მიწათმოქმედება მაღალ ხარისხზეა დაყენებული და დიდს შემოსავალსაც იძლევა.

V

---

[5] მ ა ი ო რ ა ტ ო ბ ა — უფროსთმფლობელობად თუ ითარგმნებაქართულად. სახლში უფროსი მარტო დაირჩენს მამულს, სხვა მემკვიდრეებს ფულით, თუ სხვა რამით შეიჯერებს. მაიორატობაში ჩავარდნილი მამული ვერც გაიყიდება, ვერც დაგირავდება, ვერც უფროსს შვილს ჩამოერთმევა.

ირლანდია, რომელსაც თვითონ იქაურნი მკვიდრნი ე რ ი ნ ს უწოდებენ, და რომელიც დღეს ერთს განუყოფელს ნაწილს ინგლისისას შეადგენს, ინგლისს დასავლეთით უდევს. ინგლისისა და ირლანდიის შორის მარტო პატარა ზღვაა, რომელსაც ირლანდიის ზღვას ეძახიან. თვითონ ირლანდიელნი კელტის შთამომავლობისანი არიან. მათი ძველადძველი ისტორია გამოუკვლეველია. ზოგიერთი ნაშთი ძველადძველის ირლანდიის ყოფა-ცხოვრებისა დაშთენილია შოტლანდიის ჰომირის ო ს ს ი ა ნ ი ს ლექსებში; ამასაც კი დღეს მეცნიერნი ეჭვით უყურებენ და ამბობენ, მერე ჩართულია ბევრი რამაო. ძველნი ირნი, ანუ ირლანდიელნი, ცალ-ცალკე თემებად ყოფილან დაყოფილნი და თვითო თემს თავისი უფროსი ანუ მამასახლისი ჰყოლია. თუ ოსსიანის ლექსებს დავუჯერებთ, ირლანდია ცოტად თუ ბევრად განათლებული ყოფილა უწინდელთა დროთა შედარებით. მაგრამ რაკი სკანდინავებმა ირლანდიაზედ გამოლაშქრება დაიწყეს, ამ გამოლაშქრებას აკლება და რბევა ქვეყნისა თან მოჰყვა და ირლანდიის კულტურა სრულად გააქრო.

წმინდა პატრიკმა, შთამომავლობით შოტლანდიელმა, მეხუთე საუკუნეში, სახელდობრ 430 წელს, ქრისტიანობა შეიტანა ირლანდიაში, და ამის მერმედ სამღვდელოებამ, განსაკუთრებით ბერ-მონოზნობამ, ისე მოიკიდა ფეხი, რომ შემდეგი ცხოვრება ირლანდიისა თითქმის სამღვდელოების ზედმოქმედების ქვეშ იყო. უბედურება ირლანდიისა ერთის საოცარის ამბავიდამ დაიწყო. მეთორმეტე საუკუნეში რომის პაპად დაჯდა შთამომავლობით ინგლისელი ადრიანე IV. ამ დროს ინგლისში კოროლად იჯდა ჰენრიხ II პლანტაგენეტი. ირლანდია რომის ეპარქიად ითვლებოდა. აიღო ადრიანე მეოთხემ და 1154 წელს ირლანდია აჩუქა ჰენრიხ II-ეს, თითქო პაპის საკუთრება ყოფილიყო. მძლავრმა, დაუნდობელმა და ულმობელმა ჰენრიხ II-ემ ეს საჩუქარი მიიღო და წყალობის სიგელი პაპისა ხელზედ დაიხვია, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ირლანდიის დაპყრობისათვის პაპის „ბულლა“ უფრო მეტად გასჭრიდა მაშინდელ დროში, ვიდრე ხმალი.

ხოლო დრომდე ირლანდიას მაინც ვერა გაუბედა-რა, რადგანაც ამ უცნაურს წყალობას პაპისას ეურჩებოდა ირლანდია და ზოგიერთმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. ჰენრიხ II მიუყრუვდა ჯერ-ხანად ამ საქმეს და დროს ელოდა. ამ ხანებში ირლანდია ხუთ საკოროლოდ იყო განაწილებული. რა თქმა უნდა, რომ ბძარვა, ლალვა და მტრობა ამ წვრილთა კოროლთა შორის დაუძინარი იქნებოდა. ამ სახით ირლანდია ჰენრიხ II-ის წინაშე შიგნიდამვე გატეხილს ციხეს წარმოადგენდა. იცოდა წინათვე ჰენრიხ II-ემ, რომ შური, ამბოხი, სიხარბე, გაუმაძღრობა ამ წვრილთა მთავართა თუ კოროლთა — ირლანდიას ხელში ჩაუგდებს, და ამიტომაც დედის რჩევას დაუჯერა და მოუცადა დროს. ამ დრომაც არ დაიგვიანა.

ირლანდიაში სხვათა შორის ერთი სამთავრო, თუ საკოროლო იყო, სახელდობრ, ლეინსტერნი. ამ სამთავროს მთავარი დერმოტი გამოძევებულ იქმნა თავისის სამთავროდამ. დერმოტი ინგლისში გამოვიდა, ინგლისის ბარონები, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვასალები ჰენრიხ II-ისა მოიშველია, და არამცთუ დაიბრუნა დაკარგული ტახტი, არამედ მოსაზღვრე საკოროლოც დაიპყრო. ერთ ამ ბარონთაგანმა, სტონგბოუმ, დერმოტის ქალი შეირთო, მის მერმეთ თვითონ გამთავრდა 1170 წელს და უფრო გაადიდა თავისი სამთავრო და სხვა სამთავროების ქვეყნები დაიჭირა. ჰენრიხ II-ეს ამ ამბავმა მიზეზი მისცა საქმეში ჩარეულიყო. მაშინდელის წესით, ვით შეიშვნევდა მძლავრი და გამბედავი ჰენრიხ II, რომ მისი ვასალი, ცალკე, დამოუკიდებელ, თავისუფალ მთავრად თუ

კოროლად დამჯდარიყო. მან ბრძანება გასცა, რომ ბარონები და გრაფები ირლანდიაში აღარ გავიდნენ, და ვინც გასულნი არიან, — უკანვე ინგლისში დაბრუნდნენ, და თუ არ დაბრუნდებიან, კოროლისაგან ბოძებული მამულები, „ლენად“ წოდებულნი, ჩამოერთმევათო. სტონგბოუ სუსტი კაცი იყო და ურჩობა ვერ გაუბედა ჰენრიხ II-ეს. ორში ერთი უნდა ექმნა: ან უნდა თავი დაენებებინა და ინგლისში გადმოსულიყო, ან მისგან დაპყრობილი ქვეყანა ირლანდიაში ინგლისის საკუთრებად ეღიარებინა, ეცნო „ლენად“[6] ინგლისის კოროლისა, — ესე იგი კოროლის საკუთრებად, ხოლო თვისდამი ბოძებულად კოროლის მიერ. რაკი ჰენრიხ II-ემ ერთ მოზრდილ ნაწილში ირლანდიისაში საქმე ასე გაარიგა, მერე 1171 წელს შემოიკრიბა ჯარი და მთელი ირლანდია, რა ინგლისის პროვინციად გახადა, გაუნაწილა თავის ბარონებს და ინგლისის კანონი თავს მოახვია. ჯერ კიდევ 1495 წელს ირლანდიას თავისი საკუთარი პარლამენტი ჰქონდა. 1558 წელს ელისაბედი, გამოჩენილი ხელმწიფე ინგლისისა, ბევრს ეცადა, რომ კათოლიკეთა რჯული დაეგდებინებინა ირლანდიისათვის და პროტესტანტური გაევრცელებინა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. ამ ამბავმა არია ქვეყანა და ელისაბედმა ძალით ხელახლად დაიმორჩილა. ჰენრიხ II-იდამ დაწყებული 1649 წლამდე არა ერთხელ აღუდგა ირლანდია ინგლისს პოლიტიკურ მიზეზთა გამო, ხოლო კრომველმა 1648 წელს ასეთი თავზარი დასცა ირლანდიელებს, დაიმორჩილა და ასე უწყალოდ მოექცა, რომ დასაბამი მძულვარებისა ინგლისის მიმართ, ფესვი დაუძინებელის მტრობისა, თითქმის კრომველის უღმრთო მოქმედებამ დანერგა. კრომველმა, რაკი დაამარცხა ირლანდია, თავისი სიძე აირტონი დააგდო გამგებელად ირლანდიისა. ამან, კრომველის ხელმძღვანელობით, ბევრს ჩამოართვა მამულები, მთელი მხარეები დააცალიერა, აჰყარა ხალხი, გადაასახლა სხვაგან, მრავალი ირლანდიელი გაჰყიდა ინდოეთში.

იაკობ მეორის დროს, როცა მეორე რევოლუცია მოხდა ინგლისში, ირლანდიელნი მიემხრნენ იაკობს, რადგანაც იაკობი სულ იმის ცდაში იყო, რომ გაეძლიერებინა კათოლიკობა (თვითონ იაკობი კათოლიკე იყო) და დაემხო პროტესტანტობა ინგლისში. ამან თითქმის მთელი მოხელეობა ირლანდიისა, ჯარის უფროსნი ირლანდიაში სულ კათოლიკეთა აღსარებისა დანიშნა, და ირლანდიელებს, რადგანაც კათოლიკეთა სარწმუნოებისა იყვნენ, ეგონათ, ჩვენი დრო მოვიდაო, მაგრამ ხელახლად დამარცხდნენ და ამ დღიდამ ინგლისმა უფრო შეჰხუთა ირლანდია. 1760 წელს მიწათმფლობელობის ჩამორთმევისა და შეხუთვის გამო, ირლანდიელებმა დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინეს. მემამულეთა წინააღმდეგ ატეხილი შინაური ბრძოლა ეგრეთ-წოდებულის „უაიტბოი“-ებისა[7] იმისთანავე ხასიათისა და თვისებისა იყო, რითაც ამ ბოლო ჟამს ეგრეთწოდებულმა „ფენიებმა“ თავი იჩინეს და თავზარი დასცეს მემამულეებს, ფერმერებს და სხვათა მიწისმფლობელთა ირლანდიაში. თუმცა 1772 წელს ზოგიერთი შეღავათი მიეცა ირლანდიელებს და 1782 წელს ირლანდიის პარლამენტს სრული დამოუკიდებლობა დაუთმო ინგლისმა, მაგრამ მაინც ირლანდიის ერმა თვისი გულითადი წადილი ინგლისის ხელიდამ თავის დახსნისა არ გაიქრო გულში. ხოლო უბედურს ხალხს ბედი როგორღაც არა სწყალობდა: ვერც საფრანგეთის შემწეობამ 1796 წელს უშველა რაიმე და ვერც

---

[6] „ლენი“ ერთგვარი მიწისმფლობელობა იყო საშუალ საუკუნეებში. „ლენი“ იმისთანა მამულს ერქვა, რომელიც ბოძებული იყო მეფეთა და კოროლთაგან საშვილიშვილოდ, თითქმის საკუთრებად, იმ პირობით კი, რომ ზოგიერთი სამსახური გაეწიათ იმ მეფისათვის (სუზერენი), რომლისაგანაც ბოძებული ჰქონდათ.

[7] „უაიტბოი“ ქართულად „თეთრი ბალღია“. ამას იმიტომ ეძახდნენ „უაიტბოი“-ებს, რომ გარედამ თეთრს პერანგებს ატარებდნენ.

1798 წლის საშინელმა შეთქმულობამ. 1800 წელს ირლანდია ინგლისმა სრულად დაიმორჩილა და თავისთან შემოიერთა, პარლამენტიც გააუქმა და ყველა ნიშან-წყალი თვითმართველობისა. დღეს ინგლისის აღსარებაა გამეფებული ირლანდიაში, თუმცა იქ ამ აღსარებისა მარტო ერთი მეოთხედია, და დანარჩენი სამი მეოთხედი კათოლიკეთა აღსარებისანი არიან. დღეს ირლანდიის გამგებელად ინგლისიდამ ინიშნება მთავარმართებელი, ირლანდიას ინგლისის სამინისტროში ცალკე მინისტრი ჰყავს და ინგლისის საერთო ქვედა პარლამენტში ას ხუთის დეპუტატის ადგილი აქვს, და ზედა პალატაში 28 პერისა და 4 ეპისკოპოსისა.

ეს მოკლე პოლიტიკური ისტორია ირლანდიისა საჭიროდ დავინახეთ მოგვეთხრო ჩვენის მკითხველისათვის, ვიდრე ეკონომიურს წყობის ისტორიას ირლანდიისას შევუდგებოდით. შემდეგ ამ წყობაზედ გვექნება ლაპარაკი.

VI

ვიდრე ინგლისი დაისაკუთრებდა ირლანდიას, მიწათმფლობელობა ირლანდიაში თემობრივი იყო. ვისაც რა მიწა ეჭირა, მისი საკუთრება კი არ იყო, არამედ მთელის თემისა. თვითეულს თემს თავისი ცალკე უფროსი ჰყვანდა და გამგეობა თემის საკუთვნო მამულისა ებარა. როცა უფროსი მოკვდებოდა, მის სამაგიეროდ არჩევანით დააყენებდნენ ხოლმე ახალსა. ამ სახით თვითოეულს მკვიდრს ირლანდიისას სამართალი მიუძღოდა მამული ეხმარა სათემოში სხვასთან თანასწორ. ამბობენ, დღესაც თურმე არიან ოჯახები, რომელთ წინაპართაც ეგ თემის უფროსობა ჰქონიათ. ირლანდიელნი თურმე დიდს პატივსა სცემენ ამისთანა ოჯახებს დღესაც და ხშირად თავისის ხარჯითაც ინახვენო.

მას შემდეგ რაკი გულხალვათმა პაპმა ადრიან IV-ემ უცნაური საქმე ჩაიდინა და თავისუფალი, სრულებით მისდა არკუთვნილი ირლანდია დაულოცა და უწყალობა ინგლისის კოროლს ჰენრიხს II-ეს და 1170 წ. ჰენრიხმა ირლანდიაში ფეხი შესდგა, რა თქმა უნდა წინანდელი მიწათმფლობელობა ირლანდიაში თავს ვეღარ დაიჭერდა. მთელის საშუალო საუკუნეთა განმავლობაში ირლანდია ძნელად ემორჩილებოდა ინგლისსა, ბოლოს-კი ელისაბედმა და კრომველმა სულ პირქვე დაამხეს. რაკი რეფორმაციამ ფეხი გაიდგა ინგლისში, ინგლისი კათოლიკეთა აღსარებას გადუდგა და თავისი საკუთარი ეკლესია გაიჩინა, მას შემდეგ უფრო უკუღმა დაუტრიალდა ბედი ირლანდიას, რომელმაც არ უღალატა კათოლიკეთა აღსარებასა და დღევანდლამდე მასვე აღიარებს.

ინგლისის დაპყრობამ, რასაკვირველია, ინგლისის რიგიც შეიტანა ირლანდიაში მიწათმფლობელობის შესახებ. რაკი ამ რიგს თვით ინგლისის მკვიდრთა ვერ გაუძლეს ინგლისში, რომლისაც პატრონები თვითვე იყვნენ, აბა როგორ გაუძლებდა დაპყრობილი ირლანდია, სადაც ბატონობა სხვა ტომმა, ესე იგი ინგლისმა დაიჭირა. ჯერ ამ რიგს ვერ გაუძლო ირლანდიამ და მერე, რეფორმაციის შემდეგ, იმ გარემოებას, რომ პროტესტანტობა ინგლისისა სდევნიდა კათოლიკობას ირლანდიისას. ჯერ რეფორმაციამდე ირლანდიის მიწები ეწყალობათ და დაურიგდათ ეკლესიებს, მონასტრებს და ინგლისის ლორდებს. რეფორმაციის შემდეგ კათოლიკეთა მონასტრები გააუქმეს, მამულები სულ ჩამოართვეს, სახასოდ შერიცხეს, და იქამდე

მივიდა გაბოროტება, რომ ირლანდიაში სრულად აეკრძალათ კათოლიკეებს დაესაკუთრებინათ ან ხელში სჭეროდათ მამული მფლობელობითა. ამის ძალით ჩამორთმეული მამულები ან სულ დაჰყიდეს, ან მიუბოძეს დიდგვართა ინგლისელ პროტესტანტთა და მაიორატობა დაუწესეს. რეფორმაციის დროს ინგლისის ხელმწიფე ელისაბედმა 80.000 ჰეკტარი[8] სულ ინგლისელ პროტესტანტებს დაურიგა. იაკობ I-მა ექვსი ჩრდილოეთის საგრაფოები: არმაგი, კივანი, ფერმანაგი, დერრი, ტირონი და დონეგალი მკვიდრთა ირლანდიელთ ჩამოართვა, და სულ ინგლისისა და შოტლანდიის პროტესტანტს ლორდებს დაურიგა. თვითონ 180.000 ჰეკტარი დაისაკუთრა. პურიტანების რევოლუციის დროს ყელამდი ვალით ავსებულმა პარლამენტმა ერთი მილიონი ჰეკტარი ვალში მისცა სულ ინგლისელებს, და როცა კათოლიკენი საბოლოოდ დამარცხდნენ — კონნაუტს და კლერს დაასახელეს, და პროტესტანტების მეტს სხვას არავის მიანიჭეს ნება აქ საგრაფოების ქალაქებში დასახელებულიყო, მდინარე შახნონი დასდეს საზღვრად და თუ ირლანდიელი ამ საზღვარს გადმოაბიჯებდა, ინგლისელს ნება ჰქონდა მოეკლა და ამისათვის არავითარს პასუხს არ აგებდა. ეხლაც არის დარჩომილი ანდაზად „გინდა ჯოჯოხეთს წასულხარ, გინდა კონნაუტსა — სულ ერთიაო“. ამ შეუწყნარებლობამ რჯულისამ ეს არ იკმარა. ირლანდიელებს ერთი მშვენიერი ჩვეულება ჰქონდათ სკოლების შესახებ. სკოლა ცის ქვეშე, სადმე ხის ძირს, ან ლამაზ ოლეზედ გაიმართებოდა ხოლმე და აქ გროვდებოდა მოზარდი ყმაწვილობა და უსმენდა თავის ოსტატს. 1830 წელს ესეც აუკრძალეს და ვალად დასდეს შვილები მარტო პროტესტანტის სკოლებში ჰგზავნონ ხოლმე სასწავლებლად. გარდა მაგისა, პროტესტანტის სკოლებისა და სამღვდელოებისათვის კათოლიკენი ირლანდიელნი ეგრეთწოდებულს „ათისთავს“ იხდიდნენ 1838 წლამდე. 1832 წლამდე ირლანდიელთ კათოლიკეთ ნება არა ჰქონდათ პარლამენტში წევრად კათოლიკე ამოერჩიათ.

ამაების შემდეგ, რა გასაკვირველიღაა, რომ ირლანდიაში მთელი საკუთრება ადგილ-მამულისა ინგლისის ლორდებმა დაიჭირეს და ხალხს ხელიდამ გამოაცალეს. იმ საზოგადო მიზეზთა გარდა, რომელთაც ინგლისში მამულებს თავი მოუყარეს რამდენისამე დიდ გვარეულობის ხელში, აქ ირლანდიაში სხვა საკუთარი მიზეზიც ზედ დაერთვა. ჯერ ხომ პროტესტანტობა, რომელსაც მთავრობა ხელს უწყობდა მიწათმფლობელობის საქმეში; მერე — მაიორატობა, რომელიც აქ გააკანონეს, რომ არამცდაარამც მამული პროტესტანტის, ესე იგი ინგლისელის გვარეულობიდამ არ გასულიყო; და მესამე — რაც თვითონ მკვიდრთა ირლანდიელთა მამულები ეჭირათ, სულ ლორდების საღალე მამულებად იცნეს. ამ მამულების საღალეობა ჯერ კანონიერს ხელშეკრულობაში მოაქციეს, მერე — საიჯარო ვადადადებულ ხელშეკრულობაში. რაკი ვადები გაუვიდათ, ლორდებმა ჭკუა იხმარეს და ეგ საჯარო მამულები მკვიდრს ირლანდიელებს დაუთმეს, ოღონდ იჯარის ქაღალდით ნუ შევეკვრით ერთმანეთსაო. მკვიდრნი ირლანდიელნი იეფობას დაჰხარბდნენ და უქაღალდოდ ჭერა დაიწყეს მამულებისა. აქედამ ძნელი აღარ იყო მიწათმფლობელს ლორდს ბოლოს მამულის გაცემა თავის ნებაზედ დაემყარებინა. ამ თვითნებობას ინგლისელები „at will“-სა ეძახიან და ამან მოუღო კიდეც ბოლო ირლანდიის მკვიდრთა. ამ განსაკუთრებითს მიზეზებს ერთი კიდევ ზედ დაემატა. ინგლისსა და შოტლანდიაში, რაც ჩამოსართმევი მამულები იყო, სულ ჩამორთმეული ჰქონდათ წვრილთა

[8] ჰეკტარი = 2197 ჩორსო საჟენი, ცოტა ნაკლები ჩვენებურს ორ დღიურზედ.

მამულისმფლობელთა მაშინ, როდესაც ირლანდიას ჯერ კიდევ სრულიად გამოცლილი არა ჰქონდა მამულები ხელიდამ. ამიტომ, რაც ინგლისსა და შოტლანდიაში მოჭარბებული ძალ-ღონე და სიხარბე იყო „ჯენტრისა“ (წვრილთა მამულის პატრონთა), სულ ირლანდიას მიესია, დასაჭერად იმ ადგილებისა, რაც კიდევ ხელში შერჩენოდა გლეხთა წოდებასა, რადგანაც ამათ პროტესტანტობა უპირატესობას აძლევდა ირლანდიაში, კანონი და მთავრობა ხელს უმართავდა — იქაურებისათვის მიწები ჩამოერთვათ, და თვითონ რიგი ინგლისის მიწათმფლობელობისა, ძვალსა და რბილში გამჯდარი, იმისთანა იყო, რომ რიცხვით უმცირესთა ხელში მოგროვაბა ჰქონდა საგნად და მიდრეკილებად; ყოველის ამით ინგლისის ჯენტრს მარჯვი მოუვიდა, და რაც ლორდებმა დააკლეს, ამათ შეუსრულეს. ყველა ამან ასე იმოქმედა, რომ ირლანდიაში სულ 20.322.641 აკრი[4] მიწაა და აქედამ 15.575.270 აკრი უჭირავს საკუთრებად მარტო 5.400 მიწათმფლობელს და მთელს ირლანდიაში კი, 1879 წლის აღწერილობით, 5.350.000 მცხოვრებელია. ამგვარმა მიწათმფლობელობამ მთელი მიწათმომქმედი ირლანდია უმიწოდ დააგდო, და დღეს ეს უმიწობა ჰღაღადებს იმ საშინელის ხმითა, რომელმაც ირლანდიისაკენ ასეთის ზრუნვით და ფიქრით მოახედა აქამომდე ყურმძიმე პარლამენტი ინგლისისა და თვით ინგლისის ერი. რა განწირულობამდე მიიყვანა ირლანდია ასეთმა გარემოებამ, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

VII

რაკი ირლანდიაში სამი მეოთხედი მთელის ადგილმამულისა 5.400 კაცმა დაიჭირა, რასაკვირველია დანარჩენნი უმამულოდ უნდა დარჩენილიყვნენ. რადგანაც მამულების ჭერა და გაცემა მარტო მემამულეთა ნებაზედღა იყო მიჩემებული და უმამულოდ დარჩენილს ხალხს ჭამა-სმა უნდოდა, — სხვა გზა არ იყო, უნდა ლორდის ხელში ჩავარდნილიყო და მისგან აეღო მიწა. ლორდებმა მალე შეამჩნიეს, რომ რაც უფრო წვრილ-წვრილ ნაჭერად ურიგდებოდათ მიწა ღალით, თუ იჯარით, მით უფრო მეტს იძლეოდნენ მიწას-გამოკლებულნი გლეხნი. ამ სიხარბემ ლორდებს ისე დაანამცეცებინა მიწები და იმოდენა მეღალენი აჩნდნენ ამის გამო, რომ თვითონ ლორდი ღალის აკრეფას ვეღარ ასდიოდა. ამ გარემოებამ აიძულა ლორდები ერთი კაცი ვინმე აეჩინათ ისეთი, რომ ლორდისათვის ერთიანი ღალა ეძლიათ და თვითონ ეკრიფა ღალა წვრილთა მემამულეთაგან. ამისთანა კაცს იურიდიული სახელი დაერქვა: ირლანდიაში midleman — შუაკაცი და ინგლისში tacksman — ამკრეფი კაცი. ამ შუაკაცებმა, რასაკვირველია, რომ მეტს გამორჩნენ ლორდის მამულს, უფრო დააკუწმაწეს მიწები და ისე აძლიეს გაჭირვებულ გლეხს. 1841 წელს 682 ათასი საღალე ფერმა იყო ირლანდიაში და 1845 წელს იგივე 905 ათას ფერმად დაიყო მარტო ამ ხარბობის იძულებითა. მაშინ როდესაც ინგლისში ერთს მემამულეზედ ცხრა ფერმა მოდის, ირლანდიაში — ოთხმოცდაერთია. 1845 წელს ფერმა თვითო აკრზედ ნაკლები (⅔ ჩვენის დღიურისა) 135.314 იყო, ერთიდამ ხუთამდე 181.950 და სხვანი. ამან საშინლად ასწია ფასი მიწისა, იმიტომ რომ ინგლისში ერთს მამულზედ 66 მოღალე მოდიოდა, შოტლანდიაში — 52, ირლანდიაში კი — 115, თითქმის ერთი-ორად.

გარდა მაგისა, ირლანდიაში ერთი საოცარი ამბავი მოხდა, იმისთანა ამბავი, რომ მთელნი მეცნიერნი გააბრუა. 1766 წელს ირლანდიაში სულ 1.871.725 სული იყო მცხოვრები, 1801 წელს

5.216.331 სულად გარდიქცა ხალხის გამრავლების გამო. ამ წლიდამ სულ მატება დაიწყო, ასე რომ 1841 წელს 8.175.124 სული გახდა. 74 წლის განმავლობაში ირლანდიის ხალხმა 4½ ჯერ იმატა და ერთს კვადრატულს ანუ ჩორსო მილზედ 1.200 კაცის მაგიერ 5.200 კაცი გამოჩნდა.

ამ საოცარმა და გარდამეტებულმა გამრავლებამ გაამრავლა, რასაკვირველია, მიწის საღალე მთხოვნელიცა და მიწის ფასი ისე ასწია ირლანდიაში, რომ ორ დღიურში ოც თუმნამდე ღალას აძლევდნენ წელიწადში. ვინ გაუძლებდა ამისთანა ფასებს, ნამეტნავად ირლანდიაში, საცა ვენახები არ არის და ძვირფასი რამ ნამუშევარი არ მოდის თითქმის, გარდა კარტოფილისა, რომელიც მართლა დიდს მოსავალს იძლევა იქ, რადგანაც ჰავა და მიწა შესწევს. ამ გარემოებამ მეტად დიდი უბედურება მიაყენა ირლანდიის ხალხს. ინგლისსა და შოტლანდიაში რომ უმამულოდ დარჩა გლეხობა, იქ ისეთი საზიანო არ იყო, როგორც აქ, ირლანდიაში, იმიტომ რომ ინგლისი და შოტლანდია გაჩაღებული იყო ფაბრიკებითა, ქარხნებითა და იმისთანა მრეწველობითა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა ჰქონდა მიწასა და მიწათმოქმედებასთან. ამის გამო იქ უმამულო ხალხი კიდევ იოლად მიდიოდა, რადგანაც ფაბრიკები, ქარხნები და ქალაქების საქმენი სამუშაოს აძლევდნენ და მოჭარბებული, მიწასგამოკლებული ხალხი სულ ქალაქსა, ფაბრიკებსა და ქარხნებს შეეკედლა. ირლანდიაში, მისდა საუბედუროდ, უმამულოდ დარჩენილს ხალხს ეს სახსარიც არა ჰქონდა, რადგანაც ერთადერთი წყარო ცხოვრებისა მიწათმოქმედება იყო და ფაბრიკები, ქარხნები და სხვა ამგვარი მრეწველობა არ არსებობდა.

მაშინ, როდესაც ხალხის გამრავლების გამო მიწის ღალამ აიწია, მუშის ფასმა იმავე მიზეზით საშინლად დაიწია. საცა მუშა ბევრია და საქმე ცოტა, ყველგან ესეა. მართალია, 15 მილიონი აკრი მიწა, რომელიც 5.400 კაცს დასაკუთრებული ჰქონდა ირლანდიაში, დიდძალს მუშას გაუჩენდა საქმეს, მაგრამ არ გაუჩინა კი. აი რა მიზეზით. იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ირლანდიაა, პირუტყვთ-მოშენება უფრო სახეიროა, ვიდრე ხვნა-თესვა. ამიტომაც 15 მილიონ აკრიდამ ლორდებმა 11½ მილიონ აკრზედ მეტი საძოვრად და საბალახედ აქციეს, და დასტოვეს საკარტოფილედ მხოლოდ მილიონ-ნახევარი და საპურედ — 2 მილიონზედ ცოტა მეტი. გამოდის, რომ მარტო სამს მილიონზედ ცოტა მეტი მიწაღა იყო დარჩენილი სამუშაოდ, ესე იგი სულზედ მარტო ერთი მესამედი დღიურისა, ანუ 400 ჩორსო საჟენი. ამ-სახით, კაცის საცხოვრებლად დააგდეს 3 მილიონი აკრი და პირუტყვთათვის თითქმის 12 მილიონი.

ამ ყოფამ საშინელს სიღატაკეში ჩააგდო ირლანდიის მკვიდრი ერი. მუშის ფასი ჩამოვარდა რიცხვით 40 – 30 სანტიმზედ[9] და ეს ფასები, ორთა შუა რიცხვით, იყო დიდ შიმშილობამდე, ესე იგი 1847 წლამდე. ჩვენის საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ვერცხლის ფასი დაეცა, მუშის ერთის კვირის ფასი ჰტოკავდა3 და 6-ს ფრანკს[10] შუა. იქამდე მიაღწია სიღარიბემ, რომ ზოგიერთ ქალაქში ას მცხოვრებში ორმოსდაათზე მეტი გლახა იყო, სამადლოდ შესანახავი. დონეგალის საგრაფოში იმისთანა ადგილები იყო, საცა ოთხი ათასს კაცზედ ორი დოშაკი მოდიოდა, და რვა ლეიბი ჩალისა, თუ ნამჯისა; ბევრს ადგილას ზღვის პირებზედ წყლის ბალახსა ხმარობდნენ საჭმელად და ისე იკვებებოდნენ. 1740 და 1741 წლის შიმშილისაგან მარტო სამხრეთ და

[9] სანტიმი = ¼ კაპეიკია.

[10] ფრანკი = 25 კაპეიკია.

დასავლეთ ირლანდიაში 400.000 სული მომკვდარა; შიმშილითვე მერეც თითქმის ათში ერთი კაცი კვდებოდა თურმე.

ამისთანა ყოფაში, რა თქმა უნდა, ირლანდიის ხალხი ვერ გაამრავალგვარებდა თავის საჭმელსა. იგი იკვებებოდა განსაკუთრებით კარტოფილითა, სხვა საზრდოება არა ჰქონდა. ეს კარტოფილი ცნობილ იქმნა ირლანდიაში მე-XVI საუკუნის ბოლოს, ანუ მე-XVII საუკუნის დასაწყისს და შევიდა ხმარებაში. ირლანდიის ჰავამ და მიწამ ძალიან მოიხდინა და იქ დიდი მოსავალი იცის. „რაკი იქაური მიწათმომქმედი, — ამბობს ერთი მეცნიერი, — შეიტანდა სახლში უხვად მოსულ კარტოფილსა, თავისთავს ბედნიერად ჰსახავდა და ხვალისა ფიქრი აღარ ჰქონდაო.“ ამ გარემოებისა გამო, კარტოფილის თესვა და მოყვანა შეიქმნა ერთადერთ წყაროდ ხალხის ცხოვრებისად. ამავე მიზეზით იგივე კარტოფილი შეიქმნა სათავედ იმ საშინელის უბედურებისა, რომელიც ირლანდიას ეწვია 1847 წელს და რომელმაც ისეთი თავზარი დასცა, რომ დღესაც ირლანდია ჰკვნესის, ვაებს და ვაგლახებს იმ თავზარისაგან.

ამ უბედურებას და მის შედეგს მერე ვაუწყებთ მკითხველს.

VIII

ჩვენა ვსთქვით, რომ ირლანდიაში 1841 წელსა რვა მილიონზედ მეტი მცხოვრებელი იყო და 682.818 ცალკე ფერმა; აქედამ 20.147 ფერმა, თვითო სივრცით ასიდამ ორას აკრამდე, თვით მიწათმფლობელთა ეჭირათ და ამ ფერმებში საკუთრივ თითონ მოქმედობდნენ; 135.932 ფერმა იჯარის ხელშეკრულობით (leases) იყო გაცემული, და 526.539 ფერმა კი მოღალეთ ეძლეოდათ ისე, რომ მიწათ-პატრონები, როცა უნდოდათ, აჰყრიდნენ და მოღალე ხმასაც ვერ ამოიღებდა. რვა მილიონ მცხოვრებიდამ 1.417.787 მეკომური, ანუ ექვსი მილიონი სული ორისავე სქესისა — იმისთანა იყო, რომ მარტო მიწათმოქმედებით იკვებებოდა, ასე რომ თვითო საღალე ფერმაზედ თითქმის სამი ამისთანა კომლი კაცი მოდიოდა.

აქედამ ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ირლანდიის ერისათვის მიწის მოსავლის მეტნაკლებობას რომელსამე წელაწადში. 1847 წელს ირლანდიაში გაჩნდა კარტოფილის სნეულება და ამ ერთადერთმა საკვებავმა და სარჩომ ირლანდიის მიწათმომქმედისამ ისე იკლო, რომ მთელი ირლანდია გაათახსირა. ამ წლის უბედურებას ხალხმა უწოდა „დიდი შიმშილი“ და წელიწადს — „შავი წელიწადი“. სამი წელი ზედაზედ საშინელი მოუსავლობა იყო. 1847 წლიდამ 1861 წლამდე ვეღარ მობრუნდა მოსავალი კარტოფილისა და ირლანდია პირქვე დაამხო. ამ ხანებში მრავალი ხალხი შიმშილით გაწყდა, მარტო 1847 წ. ნახევარი მილიონი სული შიმშილით მოკვდა, 20-ს წელიწადში ერთ მილიონზედ მეტი; სამი მილიონი სული უილაჯო, ულუკმა-პურო გლახად ჩაირიცხა და სამადლო შესანახავად გახდა; ბევრი საგრაფოები და ნამეტნავად დასავლეთი ირლანდია სულ დაცარიელდა, გაოხრებულ, გავერანებულს ქვეყანასღა წარმოადგენდა; ხალხი, რაც შიმშილით სიკვდილს გადარჩა, უმადურს სამშობლოს გამოეთხოვა და სხვა ქვეყნებში გაიხიზნა. ჯერ 1841 წელს ინგლისში გახიზნული იყო ირლანდიიდამ 292.935 სული, შოტლანდიაში 126.321, და 1871 წელს კი აღმოჩნდა ინგლისში გახიზნული 566.540 კაცი და შოტლანდიაში 207.770. მრავალი ირლანდიელი გადავიდა ამერიკაში; 1841 – 1861 წლებში

ამერიკაში გავიდა 2.376.157 კაცი, ასე რომ დღეს ამერიკაში ორ მილიონზედ მეტი ირლანდიელია, რომელთაც ამერიკის ქვეშევრდომობა მინიჭებული აქვთ, და კოლონისტებად დასახლებული ხომ იმდენია, რომ ეხლა იმოდენა ირლანდიელი თვით ირლანდიაშიც აღარ არის. მთავრობა ინგლისისა ამ გახიზნვას ხელს უწყობდა და უხაროდა, რომ ამოდენა მშიერ-მწყურვალს, უბინაო, უმამულო ხალხს თავიდამ იცლიდა, და ამერიკასაც თავის მხრით არა ნაკლებ უხაროდა, რომ აუარებელ ტიტველა მინდვრებს პატრონს და მკეთებელს აუჩენდა.

გახიზნულმა ირლანდიელმა ცხადად დაუმტკიცა ქვეყანას, რომ თავისის უბედურების მიზეზი თვითონ ერის ბუნება და თვისება კი არ არის, როგორც ამტკიცებენ დღესაც ზოგიერთი მომხრენი მემამულეებისა, არამედ იგი არისტოკრატიული წესი მიწათმფლობელობისა, რომელიც ინგლისმა შეიტანა ირლანდიაში და რომელმაც გლეხობას ხელიდამ გამოაცალა მამული და ცარიელზედ დასვა. ირლანდიაში ამისთანა თვისების ხალხიაო, ამბობდნენ და ამბობენ დღესაც ბევრნი, რომ არასგზით მათი ბედი არ გასწორდებაო; ირლანდიელნი ლოთები არიანო, მცონარენი, წინდაუხედავნი, მფლანგავნი, ბედოვლათები, უმეცარნიო. იქნება ესეც იყოს, მაგრამ ამას კი ივიწყებენ, რომ ბუდე ამისთანა თვისებისა სიღარიბეა და სიღარიბე, მიწათმომქმედის ერის უმამულობაა. ესე რომ არ იყოს, ვერასგზით ვერ აიხსნებოდა შემდეგი მაგალითები.

17 წლის განმავლობაში ამერიკაში გადასახლებულთ ირლანდიელთ თავის ნათესავებს, ირლანდიაში დარჩენილებს, მოაშველეს სამას ოცდახუთი მილიონი ფრანკი. ორს წელიწადში — 1852 – 1854 წ. — ას თოთხმეტი მილიონი გამოუგზავნეს. თუ ირლანდიელი მართლა ხასიათდაცემულია, ავის თვისების კაცია, ლოთი, მცონარე, უმეცარი გაუფრთხილებელი ბედოვლათია, საიდამ შეაგროვა ამოდენა სიმდიდრე ამერიკაში, რომ არამცთუ თვითონ გამოიკვება და ირჩინა თავი, არამედ ამოდენა უშველებელი ფული თავის გაჭირვებულ მოძმეთ მოაშველა შორიდამ, მერე ვინა? გახიზნულმა კაცმა, თავის ბინიდამ, სამშობლოდამ აყრილმა და უცხო ქვეყანაში ახლად დაშენებულმა. ეს მაგალითები უტყუარი საბუთია მისი, თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამული ხელთ უპყრია, და რა უღონო, უძლური, მშიერ-მწყურვალი ყოფილა, როცა ეს სიკეთე ხელიდამ გამოსცლია.

IX

შიმშილით სიკვდილმა, გახიზვნამ, დიდძალი ულუკმაპურო, უბინაო ხალხი მოაკლო ირლანდიას, და ამით იმ საშინელს ვაებას, რომელიც 1847 წლის შიმშილობას მოჰყვა და თითქმის 1861 წლამდე მეუფებდა, სიმწვავე ცოტაოდენად დაუნელა. მაგრამ ირლანდიის წყლული სრულებითაც არ გამრთელებულა, მხოლოდ დროებითად შეღავათი მიეცა ამ უბედურს ქვეყანასა. ირლანდიის ერს მაინცდამაინც არ დაავიწყდა თავისი სატკივარი და მიზეზი ამ სატკივარისა.

იგი არა ერთხელ აფეთქებულა, რომ როგორმე თავი დაეხსნა ამ სატკივარისაგან და მიზეზი მისი მოესპო. ძველისძველსა დროსას არას ვიტყვით, საკმაოა გავიხსენოთ 1760 წელი, როცა ეგრეთ-წოდებულმა „უაიტბოებმა“ საშინელი ხოცვა და ჟლეტა ასტეხეს მემამულეებისა. 1791 წელს საფრანგეთის რევოლუციის დროს შეადგინეს ეგრეთწოდებული „კავშირი შეერთებულთა

ირლანდიელთა“, რომელიც იბრძოდა ირლანდიისათვის და რომელმაც მოითხოვა ინგლისისაგან გათანასწორება კათოლიკეებისა და პროტესტანტებისა. ინგლისელებმა ჯერ ზოგიერთი რამ დაუთმეს და მერე-კი ისევ ძალმომრეობით სასტიკი ზომები იხმარეს ირლანდიის წინააღმდეგ. ილაჯგაწყვეტილმა, აბეზარმოსულმა ირლანდიამ თვისთა წყლულთა სამკურნალოდ მიჰმართა საფრანგეთსა, რათა თავი დავიხსნაო. საფრანგეთმა, მაშინ თითქმის ინგლისზედ მტრად გადაკიდებულმა, 25.000 კაცი მიაშველა ჯარად ირლანდიას 1796 წელს, მაგრამ აქედამაც არა გამოვიდა რა. 1798 წელს ხელახლად შეითქვა ირლანდია, მაგრამ შვების სანაცვლოდ უფრო უარესი დღე დააყენა გამარჯვებულმა ინგლისმა და ორ წელიწადს შემდეგ ყოველივე უფლება შინაურის კანონმდებლობისა და მმართველობისა ჩამოაცალა და შეიერთა სრულებით.

სწორედ ამ წელიწადს გამოუჩნდა ირლანდიას ის ერთგული შვილი, რომელსაც დღევანდლამდე მადლობელი ერი ირლანდიისა თითქმის სასოებით იხსენიებს. იგი იყო ოცდახუთის წლის კაცი, უკვე გამოჩენილი ადვოკატი დუბლინში, ირლანდიის სატახტო ქალაქში, და სახელად ერქვა დანიელ ოკონნელი. 1800 წელს ოკონნელი გულმხურვალედ, მხნედ და მედგრად წინააღუდგა ირლანდიის გაერთებას ინგლისთან. მას შემდეგ, რაკი 1809 წელს შეადგინა საზოგადოება, ეგრეთწოდებული „კავშირი კათოლიკეთა“, თავისის საოცარის მჭევრმეტყველობით ასეთი სახელი დაიგდო ირლანდიელთ შორის, რომ მისი სიტყვა ირლანდიისათვის კანონი იყო. ამ საზოგადოებას თანდათან დემოკრატებური ხასიათი მისცა, და 1830 წელს, გახდა თუ არა წევრად ინგლისის პარლამენტისა, ხელახლად მოითხოვა განცალკევება ირლანდიისა, მაგრამ პარლამენტმა უარჰყო 532 ხმით წინააღმდეგ 38-ისა. მელბურნის მინისტრობის დროს ოკონნელი დიდი გავლენიანი კაცი გახდა, ასე რომ დუბლინის ლორდ-მერობა[11] მიიღო 1842 წელსა. 1843 წელს ამ დაუცხრომელმა მოყვარემ თავის ქვეყნისამ სამოცდარვა დიდი და წვრილი მიტინგები (კრება, ანუ ყრილობა ერისა) შეჰყარა, რვა ოქტომბრისათვის ცდილობდა პარლამენტი აღედგინა ირლანდიაში, ანუ, როგორც მაშინ ამბობდენ, საგანგებო კრება მოეწვივნა, მაგრამ ინგლისმა ჯარი მიუსია და გაუქარწყლა მამულიშვილური წადილი.

რაც შეეხება ეკონომიურის წყობის სატკივარს, ამის თაობაზედ დაწინაურებულნი ირლანდიელნი, გულშემატკივარნი თავის ქვეყნისანი, პირველ ხანებში ბევრს არას თხოულობდნენ. ჩვენის საუკუნის დასაწყისში მარტო იმას ემუდარებოდნენ, რომ მამულების იჯარით ჭერის ვადა პატარა მომატებული ყოფილიყო! რამოდენადაც ლანდ-ლორდები ამას ეურჩებოდნენ, იმოდენად გულნატკენი ირლანდიელნი თავის სათხოვარს უმატებდნენ, თორემ ჯერ თვით გამოჩენილი ირლანდიის მამულისშვილი ოკონნელიც კი მეტს არას თხოულობდა, ოღონდ იჯარის ვადად ოცდაერთი წელიწადი მაინც დასდეთო. ეს იყო 1843 წელს. ჩვიდმეტ წელიწადს შემდეგ, სახელდობრ 1860 წელს, ირლანდიელნი — წევრნი პარლამენტისანი არ დასჯერდნენ ამ 21 წლის ვადას და 31 წლიანი ვადა ითხოვეს. ბოლოს ხანებში ვადად მოითხოვეს 63 წელიწადი.

[11] ლორდ-მერი ჩვენებურად ქალაქის თავია; ლონდონსა, დუბლინსა და იორკში ყოველწლივ ირჩევენ ხოლმე და ინგლისის მიხედვით დიდხარისხოვანი თანამდებობაა.

ასეთმა ყოფამ ა რ ყ ო ფ ა მ და ინგლისის ძალმომრეობამ აიძულა ირლანდიელნი შეედგინათ ირლანდიის გარეთ, უშიშროების გამო, საზოგადოება, რომლის წევრთ „ფ ე ნ ი ე ბ ი“[12] ეწოდებათ. ბუდე და ბინა ამ საზოგადოებას ამერიკაში აქვს. ირლანდიელთ ფენიებს საგნადა აქვთ ღონე და ქონება იმოდენა შემოიკრიბონ, რომ ორასი ათასი კაცი შეათოფ-იარაღონ, გადმოიყვანონ ირლანდიაში, დაიხსნან ირლანდია და რესპუბლიკა გამართონ. ამათ, რა თქმა უნდა, დიდძალი მომხრენი თვით ირლანდიაში ჰყავთ. მოქმედება მათი სახუმარი არ არის და ინგლისს ძალიან ეფიქრება იმათგან.

ბოლონდელი მოღვაწე ირლანდიისა ხომ სახელოვანი პარნელია. მისი აზრი და მოქმედება უკვე უწყის „ივერიის“ მკითხველმა.

ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ გამოვიძიოთ, რაგვარ, რა გზით და ზედმიყოლებით იცვლებოდა აზრი ინგლისის დაწინაურებულთა კაცთა და თვით ინგლისის მთავრობისაცა ირლანდიის შესახებ, როგორც საპოლიტიკო, აგრეთვე საეკონომიო საგანთა გამო. რაკი ამასაც ჩვენის შეძლებისამებრ გამოვიკვლევთ, ირლანდიის ყოფის დღევანდელი სურათი, თუ სრულად არა, იმოდენად საკმაოდ გამოხატული მაინც იქნება, რომ... ჩვენნი მკითხველნი ცოტათი მაინც ნათლად დაინახვენ ირლანდიის საქმეს, რომელშიაც მოქცეულია ორი დიდი საგანი, ცხოვრების საქვაკუთხედო, რომელსაც, ქვეყნისათვის განსაცვიფრებელის გამზედაობით, სახელოვანმა გლადსტონმა თავისი ძლიერი და კაცთმოყვარე ხელი მოჰკიდა და რომელსაც თავისი პატიოსანი გული და სახელი ჩაახვია.

X

ქვეყნიერობაზედ ბევრი არ არის სხვა იმისთანა ქვეყანა, რომ ხელშეუხებლობა მიწათსაკუთრებისა ისე ძლიერ და ბეჯითად დაცული იყოს, როგორც ინგლისში. ვილჰელმ დამპყრობელის დროს თესლი ამ ხელშეუხებლობისა დაითესა ინგლისში და თანდათან გაძლიერდა, გაივსო და ბოლოს მიწათმფლობელობას შეურყეველ საძირკვლად დაედო. ეს მოძღვრება, რომელმაც ასე ხელი შეუწყო ადგილ-მამულების მცირეოდენის კაცის ხელში მოგროვებას, მთელს ეკონომიურს აგებულობას ინგლისისას ძვალსა და რბილში გაუჯდა და სიმართლედ აღიარებული იყო. ამან იმოდენად დაიმორჩილა ზნეობა ადამიანისა, იმოდენად შეჰხუთა აზრი, რომ მის უსამართლობაზედ დიდ ხანს ეჭვიც არ შესვლიათ არამცთუ თვითონ ინგლისის მთავრობას და კანონმდებლობას, არამედ იმათაც-კი, ვინც ამ მოძღვრებამ გაათახსირა და ცარიელზედ ულუკმაპუროდ დასვა. ესეთი ძლიერი შემხუთველი ძალი ჰქონდა ქვაკუთხედსა ლორდთა მიწათმფლობელობის საძირკვლისას. მით უფრო საყურადღებოა შემდეგი ისტორია მიწათმფლობელობის მოძღვრებისა ინგლისში, რომ ამისთანა ქვეყანაშიაც კი ვერ გაუძლო ამ მოძღვრებამ დროთა მოთხოვნილების ზედმოსევასა და ძირი შეერყა.

თუ პირველი იერიში არა, საკმაოდ თვალსაჩინო მაინც, მიიტანა მიწათფლობელობაზედ თითონ ინგლისის მთავრობამ XV და XVI საუკუნეში. ჰენრიხ VII და VIII-ემ აუკრძალეს ლორდებს იმისთანა

[12] ფენია, ფინა, ანუ ფიონა გამოჩენილი გმირი ყოფილა ირლანდიისა 1700 წ. წინად და ფენიებმა იმის საპატიოდ და სახსოვრად დაირქვეს მისი სახელი.

ფერმების მოშლა და გაუქმება, რომელთაც ან არა ნაკლებ 20 აკრისა მიწა ეჭირათ, ან 30 მარკას იჯარას იძლეოდა. შემდეგ დადგინებულ იქმნა წესი, რომ 30 – 50 აკრიან ფერმაში არამც და არამც არავითარი შენობა არ მოიშალოს და დროზედ შეკეთებულ იქმნას. ესე ყოველი იმისდა საშველად მოახდინეს, რომ ლორდებმა არ გააუქმონ ფერმები, ესე იგი საიჯარო და საღალო ადგილები საძოვრებად არ გადააქციონ, და ამ გზით მიწათმომქმედს სახსარი მიეცეს იჯარით თუ ღალით მაინც მიწა დაიჭიროს. ხოლო ეს კეთილი განზრახვა იმით დაბოლოვდა, რომ წვრილი საღალე მამულები სულ გაუქმდა და მარტო მოდიდო ფერმებიღა დარჩა და ამის გამო წვრილნი მიწათმომქმედნი ცის ანაბარად დარჩნენ; და ეს მით უფრო შესამჩნევი იყო, რომ ამისთანა წვრილნი მიწათმომქმედნი უმრავლესობას შეადგენდნენ.

ჰენრიხ VIII-ის შემდეგ ცალკე კომისია დააფუძნა ინგლისის მთავრობამ, რომელსაც განსაკუთრებულ საგნად დაუდო წინაღუდგეს ლორდთა მიზიდულობას, რომ გარემო მიწები შემოიგდონ ვითომდა მამულების გამიჯვნისა და შემოფარგვლის სახითა. კომისიამ ყოველი ბოროტი და ზიანი ამ მიმზიდველობისა აღნუსხა, ასწერა და ურჩია მთავრობას — ფერმის მიწის რაოდენობა ერთხელ და ერთხელ დაიდვას კანონით და მით გლეხობას გზა მიეცეს იჯარით მაინც აიღოს ხოლმე მამულის საკეთებლად და თავის-თავის სარჩენად, ამაზედ შეტანილი კანონპროექტი პარლამენტმა უარ-ჰყო. საკვირველიც არ არის. მაშინ პარლამენტში ბურთი და მოედანი ეჭირათ მიწათმფლობელთა და მათგან ეკონომიურად დამონავებულთა ფერმერთა. 1549 წელს იფეთქა გლეხობის აღრეულობამ, მაგრამ ამაოდ და უქმად ჩაიარა. ამ დამარცხების შემდეგ ხელახლად ფეხზედ დადგა ძლევამოსილი მოძღვრება ლორდთა მიწათმფლობელობისა. იქამდე მიაღწია ამ ლორდთა გაძლიერებამ, რომ ლორდი ჩარლს გრეი, რომელიც მინისტრად გახდა 1806 წელს და რომელმაც 1807 წელს შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი, რომ კათოლიკენი და პროტესტანტები გათანასწორებულ იქმნენ და უკანასკნელთ არავითარი უპირატესობა არა ჰქონდეთ პირველთა წინაშე, — იძულებულ ჰყვეს სამინისტროდამ გადამდგარიყო. ლორდებმა იცოდნენ, საცა სცემდა ეს კანონპროექტი, თუ ირლანდიას მიიღებდნენ მხედველობაში. მერე სერ რობერტ პილმა, როცა მთავარმინისტრად გახდა 1841 წელს, ისეთი შესანიშნავი ეკონომიური ცვლილება მოახდინა, რომელმაც დედააზრი საკუთრების ხელშეუხებლობისა ზოგადის სახით შეარყია და ამით ტორიები შეაფუცხუნა. ერთხელ აღძრული აზრი არ შეჰფერხდა და საზოგადოებაში გზას იხსნიდა თანდათან. ამ მხრით 1839 წელს ეკონომისტებმა კონნერმა, ბომონტმა და სხვებმა ამ აზრს ღონე დაძალა მისცეს. ვიგების წინამძღომელი ლორდ ჯონ როსელი 1847 წ. ჰქადაგებდა, რომ სათემო[13] მამულები სყიდვით გამოვიხსნათ ლორდების ხელიდამაო და ღარიბს მიწათმოქმედებს დავურიგოთო.

ყველაზედ დიდი ხელისხლება მიწათმფლობელობის დედააზრისა 1848 წელს მოხდა. ეს ის კანონი[14] იყო, რომლის ძალითაც ირლანდიაში სამაიორატო მამულებს ყადაღა ახსნეს გაუსყიდველობისა და ნება მიეცათ სამაიორატო მამულები ეყიდნათ მსურველთა.

რა ღვთის წყალობა იყო ეს კანონი ირლანდიისათვის, ამას შემდეგიდამ ცხადად დავინახავთ. 1849 – 1857 წლამდე 511.898.900 ფრანკის მამულები იყიდა ირლანდიაში 7.849 კაცმა. აქედამ 7.180

---

[13] ამ დროს „სათემო“ მამულებს იმისთანა მამულებს ეძახოდნენ, რომელნიც ლორდების ხელში იყო საკუთრებასავით და სოფლელთ მარტო საძოვრად ხმარების ნება ჰქონდათ.

[14] ამ კანონს, „Encumbered Estates Act“-ი ჰქვიან.

კაცი ირლანდიელი ყოფილა, 309 ინგლისელი და შოტლანდიელი. ჩვენის საუკუნის მეორე ნახევარში საქვეყნოდ გამოჩენილმა ეკონომისტმა ჯონ სტუარტ მილლმა და რადიკალების წინამძღომელმა ბრაიტმა მიწათმფლობელობის საქმე[15] წამოაყენეს ინგლისში. ჯონ სტუარტ მილლი, საცა კი შემთხვევა ჰქონდა, ჰქადაგებდა, რომ გამიჯვნისა, ანუ მამულების გაწმენდის ბილლი[16], რომელმაც ესეთი ძლიერი იარაღი მისცა ლორდებს, რომ მამულები ხელთ ეგდოთ, უნდა გაუქმდესო, სათემო მამულები დაურიგდეს უმამულოებსაო და ყველა ფერმერს ხაზინამ ფული უნდა ასესხოსო მამულების გამოსასყიდავადაო. შორსმხედველი მილლი აფრთხილებდა თავის ქვეყანას, ეხლავ უწამლეთ რამე ამ საქმესაო, თორემ გაჭირებული ყოფა მიწათმფლობელობისა დღესა თუ ხვალ თავისას მოითხოვსო და ძირეულ ცვლილებას მოახდენსო. ჯონ ბრაიტი, გამოჩენილი ორატორი ინგლისისა, დიდი სახელგანთქმული სახელმწიფო კაცი და თავი რადიკალებისა, არა ერთხელ ამბობდა, რომ ირლანდიას მარტო იმით ეშველებაო, თუ უმამულოდ დარჩენილს ხალხს სასახლეებს, საკომლო მამულებს, ცოტაოდენს მაინც ვუყიდითო. 1866 წელს აგვისტოს 24-სა სიტყვა წარმოსთქვა და სამართლიანის გულისწყრომით ავად იხსენიებდა, რომ ინგლისში ნახევარი ქვეყანა 150 ლორდს უჭირავსო და შოტლანდიაში 10 თუ 12-საო. ლორდმა არგაილმა სტატისტიკის კომიტეტში ამავე საგანზედ საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა.

ჯონ სტუარტს მოჰყვნენ სახელოვანი მეცნიერნი — თორტონი, ბაქსტერი, ფოუსეტი, ბეესლი და სხვანი, რომელთაც ერთხელ აღძრულს აზრს უფრო მეტი შუქი მიაყენეს და ინგლისის მთავრობისა და ერის გულში მიწათმფლობელობის შესახებ სულ სხვა ფიქრი ჩასახეს. ჟურნალ-გაზეთობამაც დიდი ღვაწლი დასდო ამ აზრის გაძლიერების საქმეს, თუმცა ზოგი წინააღმდეგობასაც კი უწევდნენ, როგორც, მაგალითებრ, The Ekonomist-ი და სხვა ტორიების მორჩილნი გაზეთები. მომხრეთა გაზეთებ შორის გამოჩენილნი არიან Saturday Review და Daily News-ი. რამოდენად გაძლიერდა ახალი მოძღვრება მიწათმფლობელობის შესახებ ინგლისში, ამისი ცხადი მაგალითი მიტინგია, 29 ნოემბერს 1869 წელს მომხდარი დონდელნში. აქაც თამამად გაჰკიცხეს წინანდელი აზრი მიწათმფლობელობისა: „ჯერ ფენიებს ყველას გამოურიცხველად ეპატიოსო, მერე მუშათა ბილლი მოგვეცითო და ბოლოს ვილაპარაკებთ ფერმერობის ბილლზედაცაო; ას-ასობით ხან აქეთ, ხან იქით დაეხეტებიან უილაჯობით მუშებიო, — მოგვეცით თვითოს თვითო სასახლე, თვითო აკრი მიწა და მაშინ ფერმერობაზედ ვილაპარაკოთო“, — სთქვეს ხსენებულს მიტინგზედ სხვათა შორის.

ამ სახით ახალი აზრი მომწიფდა ინგლისში — მწერალთა, მეცნიერთა და ორატორთა წყალობითა ასე, რომ გლადსტონმა, რომელიც 1870 წელსაც მთავარმინისტრად იყო, ამ წლის თებერვლის 15-სა, როცა ირლანდიის საადგილ-მამულო ბილლი შეიტანა პარლამენტში, სხვათა შორის სთქვა: „მე ერთი იმისთანა მაგალითი არც შემხვედრია და არც მახსოვსო, რომ ამდენს ჯენტლმენს თავისი დრო, თავისი აზრი, თავისი ცოდნა და გამოცდილება შეეწიროსო, როგორც ირლანდიის ყოფისა და მდგომარეობის გამოკვლევას შესწირესო“.

---

[15] ეგრეთ წოდებული The Land question.

[16] Inclosures bill.

ესე დაძრული ჰქონდა საძირკველი წინანდელს მეტად მაგარს ქვაკუთხედს ინგლისის მიწათმფლობელობისას, როცა დიდმა გლადსტონმა, 1870 წელს, თავისი სახელოვანი ბილლი ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახები შეიტანა პარლამენტში, პარლამენტს მიაღებინა და მით ჯერ ლაგამი ამოსდო თვითნებობას ლორდებისას, რომ თავის ნებაზედ აჰყრიდნენ მიწათმომქმედებს და მამულიდამ გაისტუმრებდნენ, და მერმე ძირი გამოუთხარა წინანდელ დედააზრსა, თუმცა ფრთხილად-კი და ცოტა-არა გაუბედავობით, მაგრამ მაინც საგრძნობელად.

ამ ბილლის საერთო და საზოგადო მნიშვნელობაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ და ამით დავასრულებთ ამ ძალაუნებურად გაგრძელებულს, მაგრამ მაინც კიდევ სრულად ართქმულს მოთხრობასა.

XI

სახელოვანი კანონი გლადსტონისა, რომელიც მან გაიყვანა 1872 წელსა, რომელსაც Irish land-bill-ს ეძახიან და რომელზედაც ჩვენ შევაყენეთ ჩვენი მოთხრობა, თუმცა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ, ინგლისის დუღაბით გაქვითკირებულის მიწათმფლობელობის აგებულება რომ ვნახეთ, ეს კანონი თამამი იერიშია ახლისა, ძველს წყობაზედ მიტანილი. მით უფრო შესანიშნავია იგი კანონი, რომ მისი მეოხებით ცვლილება აზრისა მიწათმფლობელობის შესახებ თეორებრივი კი აღარ არის დღეს ინგლისში, არამედ თქმული ქმნულად არის გადაქცეული და საქმით არის განხორციელებული.

ეგ კანონი წარმომდგარია ერთის სახის ჩვეულებისაგან, რომელმაც ფეხი მოიკიდა ერთს პატარა პროვინციაში — ოლსტერში — ჯერ კიდევ იაკობ I-ის დროს, და ამიტომ ეძახიან ოლსტერის ჩვეულებას... ამ ჩვეულების ძალით ფერმერი მივიდოდა, იჭერდა მამულის პატრონის ნებადართვით მიწას, ბინას იკეთებდა, სიტყვიერად ურიგდებოდა ფასს იჯარისას და არავითარს ხელშეკრულობას ერთმანეთს არ აძლევდნენ. ერთსაც ნება ჰქონდა — როცა სურდა აყრილიყო, მეორესაც — როცა უნდოდა აეყარნა და დაეთხოვნა. ხოლო ორსავე შემთხვევაში ფერმერს ეძლეოდა იმისი ფასი, რაც გაეკეთებინა და ჩაეყარა მამულში. ამ ფასსა ფერმერი იღებდა არა მამულის პატრონისაგან, არამედ იმ კაცისაგან, ვინც მის სანაცვლოდ მის დანაჭერს მამულში შემოდიოდა დასაბინავებლად. ეს ჩვეულება შეწყნარებული იყო თვითონ ერის მიერ და გაკანონებული კი არ ყოფილა.

გლადსტონის 1872 წლის კანონის სათავედ ეგ ჩვეულება შეიქმნა, თუმცა შესანიშნავი ცვლილებანი დაემატა კი.

პირველი, რომ ყოველივე სადაო საქმე ფერმერსა და მემამულეს შორის, თუნდ იჯარის ქაღალდითაც არ ყოფილიყვნენ ერთმანეთში შეკრულნი, დაუმორჩილა კანონს, და ამაების გასარჩევად სულ ახალი განსაკუთრებული სასამართლო დააწესა და მომრიგებელ მოსამართლეებს სრული უფლება მისცა აიძულოს მიწათმფლობელი და ფერმერი კანონს ემორჩილებოდნენ. ამ სახით გაკანონდა იგი ჩვეულება და კანონის მფარველობის ქვეშ დადგა იქაც-კი, საცა, როგორც ვსთქვით, ქაღალდით ხელშეკრულობა არ იყო;

თუ დავა ასტყდებოდა ვადის მეტნაკლებობაზედ, ვადად აღიარებულია 31 წელიწადი, თუნდაც მოდავენი ნაკლებ ვადაზედაც შეჰპირებოდნენ ერთმანეთს;

მემამულე თავისის ნებით ვერ აუწევს და მოუმატებს იჯარის ფასსა. ფერმერს შეუძლიან ამ შემთხვევაში იჩივლოს და საჩივარს გაარჩევენ საკუთრად ამისათვის დანიშნულნი დამფასებელნი;

მემამულე თავისის ნებით ვერ აჰყრის ფერმერს და ვერ დაითხოვს, თუ ფერმერი უნაკლულოდ იხდის იჯარის ფასსა. თუ აჰყარა, თითონ მემამულემ უნდა უზღოს ფასი ყოველ იმისა, რაც ფერმერსა აუშენებია, რაც მამული გაუკეთებია, გაუწმენდია და თუ ნერგი რამ ჩაუყრია. ამისი საზღაური უსათუოდ უნდა გამოერთვას მემამულეს, თუნდ თითონ ფერმერი მოწადინებულიც არ იყოს;

როცა მემამულე ჰჩივის, ფერმერი იჯარას არ იძლევაო და ამ მიზეზით თხოულობს მის აყრასა, მაინც კანონს უნდა მიჰმართოს და თავისის ნებით აქ ვერასა იქმს. ამ შემთხვევაში სასამართლო იმის გამოძიებაში უნდა შევიდეს — მიუცემლობა ხომ იქიდამ არ წარმოსდგა, რომ მეტად ბევრსა სთხოვსო ფერმერს. თუ ასეა, სასამართლო უარს ეუბნება მემამულეს და ყოველს ხარჯს, ყოველ დღეს მოცდენისას, ყოველს ზარალს, რაც-კი ამ საქმის გამო მოსვლია ფერმერს, მემამულეს აზღვევინებს სასარგებლოდ ფერმერისა;

დასასრულ, ფერმერს მიენიჭება უფლება შეისყიდოს თვისი საიჯარო მამული, თუ მამულის პატრონს მოურიგდება. რაკი მორიგდებიან, ხაზინა აძლევს ფერმერს სესხად ორს-მესამედს მორიგებულის ფასისას 35 წლით და ფერმერმა ასში ხუთის თავი უნდა აძლიოს 35 წლის განმავლობაში და ამ ხანის შემდეგ თავნი და სარგებელი გადახდილი ექმნება. დღიურ მუშებსაც და უმამულოებს, თუ ისურვებენ გამოისყიდონ სასახლე ადგილი, რომელზედაც დგანან, მთავრობისაგან სესხი ეძლევათ ამ სახითვე.

წარმოსადგენია თუ, — რა ძლიერი ყოფილა ინგლისში მოძღვრება საკუთრების ხელშეუხებლობისა, რომ ამისთანა უწყინარმა და მშვიდობიანმა ხელის-ხლებამაც კი მთელი ინგლისი ფეხზედ დააყენა, ხსენებულს კანონს რადიკალობის სახელი გაუთქვა და დიდება და სახელი გლადსტონისა მოჰფინა მთელს ქვეყანაზედ.

რომ გავიხსენოთ, რაც იყო თქმული ინგლისის მიწათმფლობელობის წყობისა და აგებულებაზედ, რომ გონების თვალის წინ დავიყენოთ იგი მედგარი, დაუძინარი მეცადინეობა ლანდ-ლორდებისა და წინანდელის კანონმდებლობისა; გავიხსენოთ იგი მხნეობა და თვალგაფაციცებული სიფრთხილე რათა არაფერმა არ შეურყიოს საძირკველი საკუთრების ხელშეუხებლობის მოძღვრებასა, ჩვენც სხვასთან ერთად მოგვიხდება თქმა, რომ ის უწყინარი კანონი, რომელიც გლადსტონის, ბრაიტის, ფორსტერის და სხვების თაოსნობით მიიღო ინგლისის ერმა, დიდი გაბედული და თამამი ბიჯია.

მაგ კანონს, თუმცა სიფრთხილით, მაგრამ აშკარად დიდმნიშვნელობიანი საგანი უდევს სარჩულად — არა მარტო ინგლისისათვის, არამედ მთელ დასავლეთ ევროპისათვისაც. ქონებრივი წყობილება ეხლანდელის საზოგადოებისა დასავლეთს ევროპაში... უნდა იმ

საფუძველზედ აშენდეს, რომ ფერმერმა, ღალით მიწების მჭერელმა, უმამულო მუშაკაცმა საკუთრებად შეისყიდონ მამულნი, რომელზედაც დროებითად და ვადით დგანან.

„ჩვენა გვგონია, — ამბობს ერთი მეცნიერი, — რომ მაგ კანონს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვსო მთელის ინგლისისათვის... ვიდრე პირველ შეხედვით გვეჩვენებაო... იქნება ბევრი ხანი გავიდეს, ვიდრე არისტოკრატიული წყობა ინგლისისა ამ ხალხს აზრს და მიმართულებას შეიშვნევდეს და შეიფერებდეს, ხოლო ბოლოს-კი დაჰყვებაო, როგორც დაჰყოლია აქამომდეცა ყოველს საჭიროებას ერისას, თუ იგი საჭიროება უკანდაუხეველად და ერთხმივად იღაღადებსო. ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახები კანონი (გლადსტონისა) პირველი ბიჯია მიწათმფლობელობის ცვლილების გზაზედა, — ბიჯი, მართალია, მოკლედ გადადგმული, მაგრამ ძლიერი და უკუ დაუბრუნებელიო...“

ეს ითქვა 1876 წელს და აი დღეს, ათს წელიწადს შემდეგ, იმავე სახელოვანმა გლადსტონმა იტვირთა ეგ დიდი საქმე, ფეხზედ წამოაყენა, და 1872 წელს ცოტად გაღებული მის მიერვე კარი ახალის აზრის დასაბინავებლად, ეხლა თითქმის მთლად გააღო, უშიშრად. წააგებს ამაში გლადსტონი, თუ მოიგებს, დამარცხდება, თუ გაიმარჯვებს, — ამას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დღევანდელის დღის სატკივარისათვის, ხოლო ეს კი უეჭველია, რომ მერმისი მისი მოძღვრებისაა და მოედანს მიწათმფლობელობისას მისი მოძღვრება დაიჭერს.

აი რა მიზეზით დასავლეთი ევროპა ესე გულმოდგინედ შეჰყურებს დღეს ინგლისის შინაურს საქმეს და თვალს არ აშორებს მოხუცებულს კაცს გლადსტონს, რომელმაც სიჭაბუკის სითამამით და მხნეობით დღეს ჭიდილი გაუბედა... წყობასა, და მოხუცებულობისაგან დღემიწურვილი არ შეუშინდა არც კიცხვას, არც ლანძღვას, არც მუქარას, მარტო იმის გამო, რომ სიმართლე თავის მოძღვრებისა ჰსწამს და ამ სიმართლით სურს ჩავიდეს საფლავში.